# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 14 სექტემბერი, 1997 წელი.

№230

(2603)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.


აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

## 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები კონდიციას უახლოვდება

**საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პროცესი დამამთავრებელ ფაზაში შევიდა. 13 სექტემბერს ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა მთავრობის მორიგი სხდომა, რომელზეც გაგრძელდა ამ ძირითადი საკანონმდებლო დოკუმენტის პროექტის განხილვა.**

მთავრობის წინა სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და კონსტრუქციული წინადადებების გათვალისწინებით კორექტირებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინა ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჭკუასელმა. მან დაწვრილებით გააცნო სხდომას პროექტში შეტანილი ცვლილებანი და დამატებანი, და აღნიშნა, რომ მასში ასახულია ობიექტური რეალობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ქვეყნის ახლანდელი შესაძლებლობანი. როგორც მინისტრმა თქვა, შენარჩუნებულია მომავალი ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, რაც, კერძოდ, იმით გამოიხატება, რომ დეფიციტი კვლავ 177 მილიონი ლარის ოდენობით არის პროგნოზირებული, ეს კი 2,2 პროცენტს შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ – 1,2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია, ვიდრე მოსალოდნელია 1997 წელს.

მიხეილ ჭკუასელმა აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტრომ ვერ შეძლო მთლიანად დაეკმაყოფილებინა ბევრი სამინისტროსა და უწყების განცხადებანი, რომელთა წარმომადგენლებთანაც განვლილი კვირის მანძილზე გრძელდებოდა ინტენსიური კონსულტაციები. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მათგანისათვის დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფის საკითხი არ მოხსნილა. მიმდინარე წლისათვის დასახული პროგრამის შესრულებისა და მომავალ წელს წარმატებული სტარტის შემთხვევაში ასეთი რესურსები შეიძლება გამოიყოს. ამ მიზნით კონსტრუქციული დიალოგის შედეგად შედგენილია სამინისტროებისა და უწყებების, განსაკუთრებით პრიორიტეტული დარგებისა და სფეროების ნუსხა, რომლებისთვისაც გამოიყოფა დამატებითი ასიგნებანი. საორიენტაციო გაანგარიშებით, ლაპარაკია 110-120 მილიონ ლარზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ბიუჯეტით, მაგრამ არსებობს ფრიად რეალური წანამძღვარი, რომ გამოჩნდეს როგორც შიდა, ისე გარე რეზერვები, რომელთა ხარჯზე შეიძლება შეივსოს სახელმწიფო ხაზინა.

რაც შეეხება ბიუჯეტის პროექტის ახლანდელ პარამეტრებს, ისინი, როგორც ხაზგასმით ითქვა სხდომაზე, მაქსიმალურად ითვალისწინებს ამ ეტაპზე არსებულ

იხ. მე - 2 გვ.

პოლიტიკა

## ჩვენ იძულებული ვიყავით, გამოგვეცხადებინა რესპუბლიკა

**ულიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე კოსტა ძუგაევი უპასუხებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტის შეკითხვებს**

***— დღეს თქვენ სამხრეთ ოსეთში წარმოადგენთ თვალსაჩინო ფიგურას პოლიტიკურ ასპარეზზე. როგორ განმარტავდით თქვენს ახლანდელ საქმიანობას?***

– ჩვენ პატარა რესპუბლიკა გვაქვს და ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს... სამუშაო ძალზე ბევრია – თანამდებობრივადაც და ისედაც. მე ბედმა გამიღიმა, იმიტომ, რომ პრეზიდენტად არჩეულმა ლუდვიგ ჩიბიროვმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, „მემკვიდრეობად“ დამიტოვა ყოფილი უმაღლესი საბჭოს, ახლანდელი პარლამენტის გამართული აპარატი, აგრეთვე, სადეპუტატო საქმიანობის კარგი ტრადიციები. ხელისუფლების ახალ სისტემაში პარლამენტმა დაიკავა თავისი, კონსტიტუციურად განსაზღვრული ადგილი, და ჩვენ ხელიხელჩაკიდებულნი ვმუშაობთ პრეზიდენტთან ერთად.

იხ. მე - 9 გვ.

ინფორმაცია

### მსოფლიო ბანკის კრედიტი

1998 წლისათვის მსოფლიო ბანკს განზრახული აქვს საქართველოს გამოუყოს 31,5 მლნ ლარის ოდენობის კრედიტი კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და ჯანდაცვის სისტემათა განვითარებისათვის. უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ამ დარგებში დამუშავდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა და აღნიშნული თანხა მიზნობრივად დაიხარჯება.

### კონსულტაციები ევროგაერთიანებასთან

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს, რომ მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები ევროგაერთიანებასთან 1998 წელს საქართველოსათვის 24 მლნ ლარის გამოყოფის თაობაზე. ეს თანხა უნდა მოხმარდეს საქართველოში მიწის რეფორმის განხორციელებას და მის ახალ სტადიაში შეყვანას.

### მეტროს მშენებლობისათვის დაგეგმილია 3 მლნ ლარი

1998 წელს, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, თბილისში გაგრძელდება მეტროს ახალი ხაზების მშენებლობა. აღნიშნული სამუშაოებისათვის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში დაგეგმილია 3 მლნ ლარი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მოხმარდება საბურთალოს ხაზის მშენებარე ობიექტების დასრულებასა და ამოქმედებას.

ინფორმაციები მოგვაწოდა „იბერიამ“.

## პრეზიდენტის კიდევ ერთი ინიციატივა

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დაავალა შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს შეისწავლოს იმ მსჯავრდებულთა საქმეები, რომელთაც სასჯელის ზომად განსაზღვრული აქვთ შრომაში სავალდებულო ჩაბმა (ე. წ. მიმაგრება), აგრეთვე, იმ მსჯავრდებულთა საქმეები, რომელთაც ჩაიდინეს არამძიმე დანაშაული და აქვთ პირველი ნასამართლობა. მუშაობა ამ მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროში უკვე დაწყებულია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის დემურ მიქაძის, სასჯელთა აღსრულების სამმართველოს უფროსის გივი ყვარელაშვილისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორის მამია დარჩიას ხელმძღვანელობით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მასალა საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების მიზანშეწონილობის შესახებ რეკომენდაციების მოსამზადებლად გადაეცემა კომისიას, რომელსაც ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია ხელმძღვანელობს.

– საქართველოს პრეზიდენტის ეს ინიციატივა კიდევ ერთი ნაბიჯია ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის გზაზე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ აირჩია, – განაცხადა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში რუსუდან ბერიძემ. – ვფიქრობ, ის მსჯავრდებულები, რომელთაც შეეხება შეწყალების ეს აქტი, დააფასებენ პრეზიდენტის ნდობას და დაბრუნდებიან იმ სურვილითა და რწმენით, რომ გახდნენ საზოგადოების ღირსეული წევრები.

საქ. ინფ.

შემოდგომა

## რთველი კარს მოგვდგომია...



ყველაზე დიდი საფიქრალი დღეს იყალთოელებს ისა აქვთ, რომ თვალწინ უქრებათ „შვილივით ნაზარდი ვაზი“, მისი მონაყური ღვინო.

რთველი კი კარს მოგვდგომია!

აბა, სოკოებივით გამრავლებულ პარტიებს, ასოციაციებს, კავშირებს, ერთხელ მაინც თუ უფიქრიათ, მოსულიყვნენ სოფელში, გაეზიარებინათ მისი ჭირ-ვარამი, თავი გამოეჩინათ და ხელი შეეწყოთ კახელი გლეხისათვის ძვირადღირებული შხამქიმიკატების, საწვავ-საცხების, მექანიზაციის სათადარიგო ნაწილების შეძენაში. გვესმის მხოლოდ ფუჭი დაპირებები, სურვილები, მაღალფარდოვანი სიტყვები არჩევნების წინ!

იხ. მე - 2 გვ.

## უკანასკნელ საათს

*სტავროპოლი.* შაბათ ღამეს ამ მხარის ერთ-ერთ სოფელთან ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს თბილისიდან როსტოვში მიმავალი ავტობუსი და მისი თანმხლები არასაუწყებო დაცვის ავტომანქანა. ბედად, ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. ავტობუსი ლარსის სასაზღვრო საგუშაგოზე დაბრუნდა და გათენებამდე მესაზღვრეებთან გაჩერდა.

*ბელგრადი.* გუშინ ბოსნია-ჰერცეგოვინაში ომის დასრულების შემდეგ პირველად გაიმართა მუნიციპალური არჩევნები. ამ არჩევნებმა, რომლებიც ორ დღეს გასტანს, უნდა დაასრულოს ქვეყანაში ერთი წლის წინათ დაწყებული ხელისუფლების ორგანოების ფორმირების პროცესი.

*დუშანბე.* ტაჯიკეთის დედაქალაქის გარეუბანში, ხალხმრავალ ადგილზე მომხდარი აფეთქების შედეგად დაშავდა თექვსმეტი ადამიანი, მათ შორის, ერთი ბავშვიც. ტაჯიკეთის სამართალდამცავი ორგანოების ცნობით, ტერაქტისთვის პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის უკისრია. აფეთქების რაიონში ტაჯიკური მილიციის მიერ ჩატარებულმა რეიდებმა დამნაშავე ვერ გამოავლინა.

*კალკუტა.* 13 სექტემბერს აქ საყოველთაო-სახალხო გლოვის ვითარებაში დაკრძალეს მონაზონი დედა ტერეზა, ნობელის პრემიის ლაურეატი. მაპათმა განდის შემდეგ, როგორც მსოფლიო პრესა იუწყება, ასეთი პატივით არავინ დაუკრძალავთ.



## აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები კონდიციას შეესაბამება

რეზერვებსა და შესაძლებლობებს. ეს ქვეყნის პრეზიდენტმაც აღნიშნა. ამოცანა ის არის, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომ კონსტიტუციით განსაზღვრულ დარჩენილ ვადაში, ესე იგი, პირველ ოქტომბრამდე, გაგრძელდეს მუშაობა ამ დოკუმენტის სრულყოფაზე, და მიყვანილ იქნეს იგი კონდიციამდე. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტს აქვს მკაფიოდ გამოხატული სოციალური მიმართულება. არსებულ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, 313 მილიონი ლარი, ანუ მთელი ბიუჯეტის მესამედზე მეტი ასიგნებულია სოციალური საჭიროებებისათვის. გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციათა მუშაკების ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, დახმარებების 20-პროცენტიანი გაზრდა. ბიუჯეტის ცალკე მუხლი ითვალისწინებს სახსრების გამოყოფას პირველი რიგის ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც უკავშირდება ლტოლვილთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათი დაბრუნების დაწყებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

ამასთან, პრეზიდენტმა ყურადღება მიაპყრო მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობის დამყარების აუცილებლობას ევროკავშირთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც მზად არიან გაგვიწიონ ფინანსური დახმარება სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ამ რეგიონებში.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ბიუჯეტის პროექტი უნდა შესაბამებოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული გეგმის ძირითად პარამეტრებს. ამასთანავე, მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის, იმ დიდი პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედებას, რომელსაც წარმოადგენს თავისთავად, როგორც შიდა, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, ასევე, სოლიდური უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობაც.

სხდომაზე განიხილეს, აგრეთვე, ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიებანი სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" კრიზისიდან გამოყვანისათვის. სახელმწიფო მინისტრს, შესაბამისი სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ ერთი კვირის ვადაში საბოლოოდ დაამუშაონ წარმოდგენილი პროექტი. მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულება, განიხილა საკითხი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი 82 სააქციო საზოგადოების აქციების ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ. ამ საკითხის განხილვას მთავრობა მომავალ სხდომაზე დაუბრუნდება.

საქინფორმი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 12 სექტემბერი ქ. თბილისი

**ბ. ავალიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, საქართველოს სახალხო მხატვარი **ბიძინა ავალიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 12 სექტემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სისტემის თანამშრომლების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

„ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად 1997 წლის მაის-ივლისში შესრულებულ სამუშაოებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, თავდადებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სისტემის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

**ნოდარ ემუხვარი** – საქართველოს საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის" მთავარი ინჟინერი

**შოთა მაისურაძე** – სახელმწიფო ენერგოკომპანია „საქენერგოგენერაციის" გენერალური დირექტორის მოადგილე

**არველოდი ქარდავა** – სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" გვირაბგამყვანთა ბრიგადირი

**მოველი ჭაავა** – სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" დირექტორი.

ღირსების მედლით:

**როლანდ ადეიშვილი** – სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" უბნის უფროსი

**ვლადიმერ იბრაგიმოვი** – სახაზინო საწარმო „კამხალმშენის" დირექტორი

**თამაზ მაჭარაშვილი** – სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირამშენის" ზეინკალი

**იური ნაკაშიძე** – სახაზინო საზარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" ზეინკალი.

**ე. შევარდნაძე.**

## მადლობა

**საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით „ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად შესრულებულ სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობა გამოეცხადათ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს:**

**ბადრი არქანიას,** შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „რეზერვის" დირექტორს; **ბორის გაბედავას**, „ენგურჰესის" თაღოვანი კამხალის დირექციის მექანიკოსს; **გურამ გახარიას**, „ენგურჰესის" თაღოვანი კამხალის დირექციის მთავარ ინჟინერს; **ანატოლი გოგოხიას,** სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" ელექტროზეინკალს; **გოგი გულუას**, სააქციო საზოგადოება „ჯვარის" საცდელ-სპეციალიზებული ქარხნის დირექტორს; **თემურ გულუას,** სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" გვირაბგამყვანს; **ბონდო ვეკუას,** სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" ზეინკალს; **როინ ზარანდიას,** სააქციო საზოგადოება „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" დირექტორს; **ნოდარ ლემონჯავას**, სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" გვირაბგამყვანს; **ომარ მახარობლიძეს,** სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" ცვლის უფროსს; **იულონ მიქაშვილს,** საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს; **გოგი მოსავლიძეს,** საქართველოს საპროქტო-საძიებო ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის" გვირაბის პროექტის მთავარ ინჟინერს; **ფრიდონ ფიფიას,** სააქციო საზოგადოება „ჰიდროსპეცრემმშენის" „ჯვარის" ფილიალის დირექტორს; **ბესიკ ქობალიას,** „ენგურჰესის" თაღოვანი კამხალის მთავარ ენერგეტიკოსს; **ნუგზარ ქორაიას,** სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" გვირაბგამყვანთა ბრიგადირს; **ჯონი ჭანიას,** „ენგურჰესის" თაღოვანი კამხალის დირექციის დირექტორს; **თემურ ჭანტურიას,** „ენგურჰესის" კამხალმშენის მთავარ ინჟინერს; **ბორის ხასაიას,** სახაზინო საწარმო „ჰიდროსპეცგვირაბმშენის" გვირაბგამყვანს.

## შემოდგომა

# რთველი კარს მოგვადგომია...

შარშან, რთველის შუა პერიოდში დაამტკიცა პარლამენტმა პრეზიდენტის დახმარებით მევენახეობა-მეღვინეობის გადარჩენისათვის გამოყოფილი კრედიტი.

წლეულს კი, როგორც საინფორმაციო წყაროებიდან ცნობილი გახდა, მევენახეობა-მეღვინეობის კრიზისიდან გამოსასვლელად შეიქმნა კომისია, მაგრამ რა... „არსაიდან ხმა, არსით ძახილი" მისი კონკრეტულად და პრაქტიკულად განხორციელება-მოქმედებისა.

რთველი კარსაა მომდგარი და ყურძნის მომყვანმა არ იცის სად, რა ფასად ჩააბარებს თავისი შრომის ნაყოფს, აინაზღაურებს გაწეულ ხარჯებს?

დღეს ღვინის ქარხნებს უჭირთ შარშანდელი სესხის გადახდა. მიზეზი: მიღებული ღვინო-მასალების თვითღირებულება ღვინის დღევანდელ საბაზრო ფასებზე მაღალია, რაც გამოწვეულია გასაყიდ პროდუქციაზე აქციზის, დამატებული ღირებულების გადასახადითა და მაღალი საგზაო ტარიფებით. აგრეთვე, იმით, რომ ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია საზღვარგარეთიდან კონტრაბანდით შემოტანილი იაფფასიანი (ხშირად ფალსიფიცირებული) ღვინო-არაყით. ამან, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია ჩვენი ღვინოების რეალიზაციასა და ფასების დაცემაზე. მაგალითად, სააქციო საზოგადოება „იყალთო-XII"-მა (ყოფილი ღვინის ქარხანა), რომელიც ადრე იღებდა 5-6 ათას ტონა ყურძენს, შარშან მხოლოდ 215 ტონა მიიღო (1 კგ. 30 თეთრად), ხოლო 1 ლიტრი ღვინის წარმოება დაუჯდა 87 თეთრი... ასე ჩაწვა პროდუქცია არა მარტო ღვინის ქარხნებში, არამედ გლეხთა მარნებშიც. დღეს ბაზარზე დიდი რაოდენობით ღვინო 40-50 თეთრად თუ გაიყიდება.

...აი, უკვე მერამდენედ მიტევს ჩემი იყალთოელი მეზობელი მიხაკა გიგილაშვილი: „ეეე, თურმე, ი რა დროში გვიცხოვრია, ადრე". სხვებიც რომ ბანს აძლევენ:

– გახსოვთ, შევქუჩდებოდით იყალთოელი ბიჭები, 3-4 კილოგრამ სამწვადეს ვიყიდიდით (პური და ყველი, კიტრი და პამიდორი, ღვინო და არაყი ჩვენი გვქონდა), ავიდოდით ძველი აკადემიის ნაფუძარზე და ვილოცებოდით. ეხლა რით რა უნდა ვიყიდოთ?

ამ და სხვა „რამე-რუმეებს" ნიშნისგებით მოგახლიან ისინი და, გინდა თუ არ გინდა, მათ ნააზრევს ანგარიში უნდა გაუწიო. განა მაღალი ტრიბუნებიდან გამოსვლებს არა სჯობია ადგილზე მივიდეთ, გავესაუბროთ მეზვრეებს, ახლად გამოჩეკილ ფერმერებს? ვიკითხოთ, რატომ ხდება, რომ ვენახის ფართობები მასობრივად მცირდება, რატომ ჩნდება მის ადგილზე საზამთრო, ატამი, სიმინდი? ბოლო დროს კი ხორბლის ყანებმა გადაფარა ყველაფერი. რა თქმა უნდა, ხორბალი საჭიროა, მაგრამ ვაზის ხარჯზე?!

წლეულს, 13 ივნისს თელავში გამართულ რეგიონულ თათბირზე საუბარი იყო ბიუჯეტის შევსებაზე, საგადასახადო სისტემის სრულყოფაზე, პურეულის მოსავლის აღებაზე, ცოტა რამ ითქვა მევენახეობასა და მეღვინეობაზე, მის დღევანდელობასა და მომავალზე. მაშინ, ჩემთვის ჩავინიშნე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბაკურ გულუას ნათქვამი: ღვინის ქარხნებმა შარშან მიღებული 6 მილიონი ლარი კრედიტიდან მხოლოდ 1,1 მილიონი დაფარესო. მერედა, რატომ ასე ცოტა, რაშია საქმე, რა ხდება? ეს რომ ერთ ან ორ საწარმოს ეხებოდეს, სხვა საქმეა, მაგრამ იგი ხომ მასობრივი ხასიათისაა. ამიტომაც, სავარაუდო იყო, რომ მოხდებოდა ვალების გადავადება. ვალს, რა თქმა უნდა, გადახდა უნდა, მაგრამ როცა ასეთი მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი მოვლენების წინაშე დავდექით, ნუთუ გამოსავალი მხოლოდ ის არის, რომ სამამულო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ქარხნები გავყიდოთ, ისევ და ისევ უცხოელებს ჩავაბაროთ ჩვენი ავლადიდება?! არა მგონია, ჩვენმა ერისკაცებმა ამაზე სერიოზულად არ იფიქრონ და „გზა ხსნისა" არ გამონახონ.

ერთი გასათვალისწინებელი წინადადებაც: ღვინის ქარხანა მოვალეა და პასუხისმგებელი მიიღოს ყურძენი, გადაამუშაოს და დაამზადოს ღვინომასალა. მაგრამ რახან ჭირს მისი ბაზარზე გატანა, გასაღება-რეალიზაცია, ხომ არ აჯობებდა, შექმნილიყო საქმიანი ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც თავის თავზე აიღებდა, სათავეში ჩაუდგებოდა და კოორდინაციას გაუწევდა ამ საქმეს.

რამდენი ასეთი გადაუდებელი საკითხია, რომელზეც ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას, პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს.

...რთველი კარს მოგვადგომია!

**გიორგი შათირიშვილი,**
**იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო აკადემიის რექტორი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.



## ინფორმაცია

### საქართველო-საბერძნეთი

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, საქართველოსა და საბერძნეთს შორის 7 თვის განმავლობაში საქონელბრუნვის მოცულობამ 5 მილიონ 141 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო გასული წლის განმავლობაში 18 მილიონ 213 ათასი დოლარი.

### სპირტით დატვირთული ავტომანქანები – სოჭში

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოდან აფხაზეთის გავლით სოჭში ჩავიდა სპირტით დატვირთული 12 ავტომანქანა. ავტოტრანსპორტზე რუსეთის სახელმწიფო ნომრებია. სავარაუდოა, რომ სოჭში მანქანები აფხაზეთის გავლით აღმოჩნდა, – იტყობინება „მოამბე-ექსპრესი".

### თბილისელებო, გაიღეთ მოწყალება!

წმინდა გიორგის ეკლესიასთან არსებული სასადილო, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ყოველდღიურად საკვებით ეხმარებოდა, დახურვის პირასაა, რადგან ველარ ღებულობს შემოწირულობებს მოქალაქეებისგან. თუ ადრე სასადილო დაახლოებით ასორმოცდაათამდე უმწეოს უზრუნველყოფდა სადილით, დღეს მათ ნახევარსაც ველარ სწვდება.

### მუშავდება ორი სახელმწიფო პროგრამა

„იბერიის" კორესპონდენტს საქართველოს განათლების სამინისტროდან აცნობეს, რომ ამჟამად 1998 წლისათვის მუშავდება ორი სახელმწიფო პროგრამა უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით: ნარკომანიის გავრცელების საწინააღმდეგო და არასრულწლოვანთა დანაშაულის პროფილაქტიკისათვის. მოსალოდნელია, რომ პროგრამის განხორციელება-დაფინანსებაში საერთაშორისო ფინანსური ცენტრებიც მიიღებენ მონაწილეობას.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: „იბერიამ", „ბეამ" და „მოამბე-ექს-პრესმა".**

საქართველოს რესპუბლიკა
№230. კვირა. 14 სექტემბერი. 1997 წელი.



განძი

# აფხაზეთის კათალიკოსის ექვთიმე საყვარელიძის ერთადერთი პორტრეტი ათონის ივერთა მონასტერში

შუა საუკუნეების გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის, ჩვენი კულტურის ისტორიის წინაშე თავისი ამაგითა და დამსახურებით, დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ექვთიმე საყვარელიძეს, უდავოდ, განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ექვთიმე I-ის (მას ძველქართული ტრადიციით ეფთვმე ეწოდება) კათალიკოსობის თარიღები დადგენილია და 1578-1616 წლებზე მოდის; უფრო ადრე კი – ის მოქვის მთავარეპისკოპოსია. ცნობილია, რომ ამ პერიოდში ეფთვმე მოქველმა ბიჭვინთის საკათალიკოსოს დიდძალი მოძრავი ქონება შეუძინა: თვალმარგალიტებით შემკული, ძვირფასი ქსოვილისაგან დამზადებული საპატრიარქო შესამოსლები, ოქრო-ვერცხლისაგან ნაკეთები სარიტუალო ინვენტარი, მდიდრულად მოკაზმული საეკლესიო წიგნები, „ქართლის ცხოვრება", მის მიერვე გადაწერილი „გულანი" და სხვ. ამასთან, მან თავისი პირადი ქონებაც ეკლესიის საკუთრებად აქცია.

ექვთიმე საყვარელიძემ იმავე გულმოდგინებით გააგრძელა ის ნაყოფიერი კულტურულ-აღმშენებლობითი მოღვაწეობა, რომელსაც მისი წინამორბედი, აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონ I (1543-1578) ჩხეტიძე ეწეოდა. ამ უკანასკნელის სახელს უკავშირდება ბიჭვინთიდან საკათალიკოსო რეზიდენციის გელათში გადმოტანა. მან მოაჭედვინა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ოქროს ხატი, საკუთარი ხარჯებით შეუძინა მამულები და ძვირფასი საეკლესიო ინვენტარი, ნაწილობრივ მოახატვინა მოქვის, ბიჭვინთისა და გელათის ეკლესიები. ცნობილია, აგრეთვე, მისი დაკვეთით შესრულებული ბევრი გელათური ხელნაწერი. საკუთრივ გელათის მთავარი ტაძრის კედელზე (დავით აღმაშენებლის ფრესკის გვერდით) მოღწეულია ევდემონ ჩხეტიძის ძალზე შთამბეჭდავი პორტრეტული გამოსახულება. რაც შეეხება ექვთიმე საყვარელიძეს, მისი პორტრეტი ჩვენამდე მოღწეულ სხვა ძეგლებში არსად ჩანს.

არსებულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ნათელი ხდება, რომ XVI საუკუნის დასავლეთ საქართველოში პატრიოტი და ინტელექტუალი მღვდელთმთავრების ხელშეწყობით, მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა დაიწყო. აღორძინდა და ამოქმედდა საოქრომჭედლო სახელოსნოები, სალიტერატურო ცენტრები, სადაც თანმიმდევრულად მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა, გავრცელება და მოკაზმვა.

როგორც ჩანს, ექვთიმე საყვარელიძემ, განსაკუთრებით ხელნაწერთა გამრავლების საქმეში, იმდენად ღირსეულად გააგრძელა კათალიკოს ევდემონ I-ის საქმიანობა, რომ შემდგომმა თაობებმა, რამდენიმე შემთხვევაში, მას ევდემონის ღვაწლიც კი მიაწერეს.

მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ექვთიმე საყვარელიძე დაუღალავად ილვწოდა ქართული ხელნაწერების გადაწერისა და გამრავლების საქმისათვის. ის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აგროვებდა და რამდენიმე ცალად ამრავლებდა იშვიათ ხელნაწერებს. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთაგან, მისი ინიციატივითაა გადანუსხული რამდენიმე დიდტანიანი კრებული: იოსებ ფლავიოსის „წიგნი ჰურიისაჲ" შეიცავს 420 ფურცელს; გულანი, ფ. 1084, მეტაფრასი, ფ. 488; გულანი მარტვილური, ფ. 1004.

ექვთიმეს დამსახურებას ხელნაწერთა გამრავლების საქმეში ძალზე დეტალურად, მაგრამ ამაღლებული სტილით, გადმოგვცემს ერთი გელათური ნუსხის წინასიტყვაობა: „ეპა დიდებაჲ ღმერთსა,.. იწყებიან სახელითა ღმრთისაჲთა და წადიან ნებაჲ ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარხისაჲ, კათალიკოზის პატრონის ეფთვმესითა განძი, თუალი, ბრწყინვალებაჲ, შუენიერებაჲ საყდრისა, მსმენელთათვის დიდად მარგი, სიქადული და მეცნიერება მოწესეთა და ადამოსითგან ღედაჲ ყოვლისა წიგნისა, წმიდაჲ წიგნი ესე სახელით იოსიპოსი. შენ, საშინელო და ცათა მობარარო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, აცოცხლე, ამზგრძელე და შეეწე, მცველ, მფარველ და მეოხ ექმენ... ორთავე შინა ცხორებათა... რემეთუ ჭეშმარიტად პატიოსანთა სალმრთოთა წერილთა წიგნთა წმიდათა წერასა და ამკობდა პატიოსანთა საყდართა კახეთით, ქართლით, იმერით, ოდიშით და გურიით; და დასდებდა დიდროანსა და პატიოსანსა ყოვლითურთ შემკობილსა წიგნებსა და ჩვენ გვიბოძებდა მათსა ალალსა მათისა კონდაკითა ნაშოებსა საქონელსა მრავალსა და აურაცხელსა; და არა დასცხრებოდა სალმრთოჲსა სურვილისაგან; და ყოველსა წელიწადსა შინა ოთხოთხისა, სამ-სამისა და ორ-ორისა მწერლითა გუაწერინებდა და გუამრომებდა დიდისა პატივითა და წყალობითა და პატივსაფარველითა. მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი და საუკუნოჲმცა არს კურთხევაჲ და სუფევაჲ მათი. ამინ და კირიელეისონ".



ამჯერად გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ექვთიმე საყვარელიძის იმ იშვიათ და, ვფიქრობ, ერთადერთ პორტრეტულ გამოსახულებაზე, რომელიც ათონის ივერთა მონასტერში აგერ უკვე მეოთხე საუკუნეა, რაც ინახება.

ივერთა მონასტერში დაცული ერთ-ერთი უძველესი ბერძნული ხელნაწერი, რომელსაც უძვირფასესი ფერადი მინიატურები ამკობს, ჩასმულია მოოქრული ვერცხლის ჩარჩოში, რომელსაც ტრადიციულად ხელნაწერის „კუბოს" უწოდებენ. იმის გამო, რომ აღნიშნული ხელნაწერი თავისი ძვირადღირებული მოჭედილობის გამო მონასტრის ბიბლიოთეკაში კი არა, არამედ მის საგანძურში ინახებოდა, მისი მეცნიერული ალწერაც კი არ არსებობს. ის ბერძენ მკვლევარებს გამორჩათ სწორედ მისი ქართული მოჭედილობის გამო. ხელნაწერი თავის დროზე უნახავს პლატონ იოსელიანს, რასაც ადასტურებს მისი მინაწერი საკუთრივ ხელნაწერის თავფურცელზე: „განვიხილე წ(მიდ)ა ესე სახარება და აღვსწერე მთაწმინდას ყოფისა ჩ(ემის)ა 13 მაისს 1839 წელსა, პლატონ იოსელიანმან".

აღნიშნული ბერძნული ხელნაწერი წარმოადგენს ე. წ. საკითხავ სახარებას, ბერძნულად „ევანგელისტარიონს", შესაბამისად, მასში სახარების თავები დალაგებულია სხვა რიგით: იოანე, მარკოზი, მათე და ლუკა. მათი გამოსახულებები ამავე რიგით ხელნაწერის ჭედურობის გვერდით ნაწილზეა წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ მახარებელთა გამოსახულებების რიგი და იკონოგრაფიული მახასიათებლები თანმიმდევრულად იმეორებს საკუთრივ ბერძნული ხელნაწერის მინიატურებს. ჩვენი აზრით, ბერძნული ხელნაწერი წინ უსწრებს ჭედურობას და ეს თავისი პალეოგრაფიული და მხატვრული ნიშნებით მე-13-14 საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. ეს საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჭედურობა შესრულებულია ხელნაწერის დასურათების მიხედვით და ძლიერ არის მასზე დამოკიდებული. საზოგადოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხელნაწერი საქართველოში უნდა იყოს შესრულებული. შესაბამისად მოსაძიებელია სხვა ბერძნული ხელნაწერებიც, რომლებიც საქართველოს სკრიპტორიუმებში უნდა იყოს გადაწერილი.

რაც შეეხება თვით ჭედურობას, ის წარმოადგენს მე-16 საუკუნის ბოლო ათწლეულის ქართული ჭედურობის ბრწყინვალე ნიმუშს, რომელიც შესანიშნავად აგრძელებს შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ტრადიციულ ხაზს.

დასახელებული ხელნაწერის ჭედურობას თან ახლავს მრავალრიცხოვანი ასომთავრული წარწერები. ყველაზე მნიშვნელოვანია ორი ქტიტორული წარწერა. ერთი გარეკანის წინა მხარის ქვემო ნაწილში: „ჩვენ, ქ(რისტ)ეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთისა კათ(ა)ლიკოსმან ეფთიმე/საყ(ვა)რელიძემან მოვაჭედინე წ(მიდ)ა ესე სახარება და შევსწირე საშინელა/და და დიდებულსა წ(მიდა)სა ბორტიატისა ღ(ვთი)სა მშობელსა, რ(ათ)ა მეოხ მექმნეს წინაშე/ღ(ვთი)სა ორსავე შ(ინ)ა ცხორებასა და შემრაცხოს მ(ა)რჯვენათა თ(ან)ა, და მასმი/ნოს ხმა იგი სანატრელი: მოვედ კურთხეულო მამისა ჩემისაო".

ხოლო მეორე წარმოდგენილია ჭედურობის ზედა რეგისტრში, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ქვემოთ: „კარისა/ღ(თის)ა მშო/ბელო, შ(ეიწყალ)ე/ორსავე შ/(ინ)ა ცხორე/ბასა კ(ათა)ლ(იკო)ზი/ეფთიმე/ამინ".

უკანასკნელი წარწერა მოთავსებულია პატარა კარების მიღმა, რომელიც მორთულია ძვირფასი თვლებით და რომლის მარცხნივ ვედრების პოზაში გამოსახულია თვით კათალიკოსი ექვთიმე საყვარელიძე.

აღსანიშნავია, რომ ჭედურობის ამავე მხარეზე მრავალრიცხოვანი სცენებისა და ფიგურების გვერდით გამოსახულია სამი ქართველი ათონელი განმანათლებელი – ექვთიმე, იოანე და გიორგი მთაწმინდელები (ზემოდან ქვემოთ).

დასახელებული ძვირფასი ბერძნულ-ქართული ხელნაწერი ათონის მონასტრების სხვა რელიქვიებთან ერთად ამჟამად გამოფენილია ქალაქ თესალონიკის ბიზანტიური ხელოვნების მუზეუმში. ეს გამოფენა, რომელსაც ჰქვია „ათონის მთის საგანძური", ივნისში დაიწყო და ამა წლის 31 დეკემბრამდე გასტანს. მასზე შთამბეჭდავად არის გამოფენილი ივერთა მონასტრის ბიზანტიური და ქართული ხელოვნების ბევრი სხვა უიშვიათესი ნიმუში, მათ შორის მე-10-11 საუკუნეების ქართული და ბერძნული ხელნაწერები, ძვირფასი ფერწერული და მოზაიკური ხატები, ოქრომჭედლობა, საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვ. გამოფენა თავისი არსით იმ მხრივაც არის უნიკალური, რომ ფაქტობრივად, ათი საუკუნის შემდეგ საზოგადოებას (განსაკუთრებით, ქალებს) პირველად ეძლევა შესაძლებლობა ათონის საგანძურის გაცნობისა.

**ამის საშუალება, ალბათ, საქართველოს დელეგაციასაც ექნება, რომელიც, როგორც ცნობილია, ხვალ ოფიციალურ ვიზიტად მიემგზავრება საბერძნეთში.**

ავთანდილ მიქაბერიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№230, კვირა, 14 სექტემბერი, 1997 წელი.

## საქართველო — საბერძნეთი



# ილია: „სახელი და სამართალი დაემჯობინება მთელ ლაშქარსა“

1889 წლის 1 ნოემბერს გაზეთმა „ივერიამ“ გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძის წერილი — „აშლილობა კრიტის კუნძულზე“. წერდა რა კრეტელი ბერძნების საბერძნეთთან შეერთების დიდ სურვილზე, ილია აღნიშნავდა: „გრძნობა სამართლიანობისა, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კრიტელთა მხარეზედ არის და ამ მომხრეობას თხოულობს თვით ჭეშმარიტი და გაწმენდილი ზნეობაც, მაგრამ რას იზამთ, როცა ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. მტრობა, ჯიბრი, ცილობა და ხარბობა, რომელიც დღეს ამოქმედებს პოლიტიკას სხვადასხვა სახელმწიფოსას, სვებედს დაჩაგრული! კრიტინას ჰხუთავს, აბორკილებს და ხელიდამ არ აცლის ოსმალეთს, რომელიც — რაკი ესეა, ყურსაც არ იბერტყავს, რომ კარგის გამგეობით და პატრონობით კრიტელებსაც შეღავათი მიეცეს და ადამიანურად სულის ბრუნებისა, ადამიანურად ცხოვრებისა, მათის ეროვნული ღირსების დაუჩაგვრელად და შეუხუთველად“.

დიდი ილიას პოზიცია მთელი ქართველი ხალხის პოზიცია იყო, და ეს დადასტურდა ზუსტად 100 წლის წინათ, 1897 წელს, როცა საბერძნეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო.

1897 წელი. 10 თებერვალი.

ილია ჭავჭავაძე წერს „ივერიაში“: „რა ჰქმნა ისეთი საბერძნეთმა, რომ ევროპა მუქარით და საყვედურით თითს უქნევს. იჟლიტება ტყუილუბრალოდ ქრისტიანი ხალხი, ლამის სულის ამოხდომამდე მიიყვანეს კუნძული კრიტისა, ლამის ერთმანეთი შესჭამონ იქ დატყვევებულმა ბერძნებმა და დამპყრობელმა ოსმალომ, ევროპა კი არამც თუ ხელს არ სძრავს, თავისს რიხიან ხმას არ იღებს, არამედ გამოსულა და მუქარით ეუბნება პატარა საბერძნეთს: შენც სუ და მეც სუო!“

28 თებერვალს ილიასეულმა „ივერიამ“ გამოაქვეყნა ბათუმიდან მიღებული ინფორმაცია, რომლის თანახმად 24 თებერვალს „აქ მცხოვრებელი ბერძნები უეცრად სიხარულით აღივსნენ. ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ქუჩებში და მღეროდნენ. მიზეში ის იყო, რომ საბერძნეთის მთავრობას ჯარში გაუწვევია თავისი ის ქვეშევრდომნი, რომელნიც 1864-1873 წლებში დაბადებულან. ეს ბრძანება მიუღია პეტერბურგს საბერძნეთის ელჩსა და იმასაც წერილით უცნობებია რუსეთში მყოფ საბერძნეთის ელჩებისათვის. აქაურმა ელჩმაც დღეს, ბრძანების მიღებისთანავე, თითქმის ყველა ბერძენთა ყავახანაში გააკვრევინა განცხადებანი, რომელშიაც აღნიშნული იყო საბერძნეთის მთავრობის განკარგულება. კრიტის აჯანყების შემდეგ ბერძენი საზოგადოება თითქოს იმას ელოდებოდა, რომ საჩქაროდ სამშობლოს მისაშველებლად წასულიყო. მხოლოდ დღეს ეს წადილი აუსრულდათ და იმათს სიხარულს საზღვარი არა აქვს“.

„ივერიამ“ 1897 წლის 7 მარტს მკითხველებს დაწვრილებით მოუთხრო ახალგაზრდა ბერძენის ბათუმიდან გამგზავრების ამბავი. „ბათუმი: 3 მარტს, ნაშუადღევის მეორე საათზედ, გავიდა ბათუმიდან საფრანგეთის ცეცხლის გემი „სიდონი“, რომელმაც წაიყვანა საბერძნეთში ბერძენთა ჯარისკაცნი. გემის ბაქანი ახალგაზრდა ბერძნებით იყო სავსე, რომელნიც ჰგალობენ საგმირო ლექსებს. „ვაშა“ და „გაუმარჯოს საბერძნეთსაო“-ს ძახილს დასასრული აღარ ჰქონდა. ხალხი დიდად აღელვებული იყო, იტალიისა და სხვა გემებზედ მწვანე ბაირაღები ამართეს პატივისცემის ნიშნად და ამის გარდა რამდენჯერმე დასცალეს ზარბაზანი“.

ილია ჭავჭავაძე კვლავ გულისყურით ადევნებს თვალს კუნძულ კრეტაზე შექმნილ ვითარებას და 13 მარტს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავს, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ ბლოკადა მოაწყო კუნძულის გარშემო, მის ნავთსადგურებში აღარ ატარებდა გემებს საბერძნეთიდან და პირიქით.

ილია განმარტავდა, — საბერძნეთი მოითხოვდა, მთელ მსოფლიოს გაეგო კრეტელების აზრი იმაზე, უნდოდათ თუ არა მათ საბერძნეთთან შეერთება, მაგრამ როგორც იგი წერდა: „რასაკვირველია ძალა აღმართსა ჰხნავს და საბერძნეთსაც უთხრეს: ენა გრძელი გაქვს, მოიკვნიტეო. ჯერ-ხანად იქნება ჩააჩუმონ კიდეც, მაგრამ როდემდის? ვთქვათ, მართლა ხმა გააკმენდინონ საბერძნეთსა, თუმცა ძნელად საფიქრებელი კია“.

პეტერბურგში მცხოვრები ქართველი სტუდენტები ადგილობრივი პრესის გარდა „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მასალებსაც კითხულობდნენ, ალბათ, დიდი ილიას სტრიქონებსაც, და მათაც იმის ღრმა რწმენა შეექმნათ, რომ საბერძნეთის ხალხი სიმართლისათვის იბრძოდა და კრიტელებს თავისუფლება უნდა მისცემოდათ. სტუდენტები ამის თაობაზე 27 მარტს წერილს უგზავნიან ილია ჭავჭავაძეს. ქართველი ახალგაზრდები პეტერბურგიდან იწერებოდნენ: „კრიტოსელნი და ბერძენნი — ეს განუყრელნი ძმანი, რომელთაც ესდენ დიდი ძალა შესწევთ, რასაკვირველია სულიერი და არა სხვა (თორემ ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ჯარებს რა გაუმაგრდებოდა?), საგმირო მოედანზედ გამოსულან, ევროპის წინაშე ეროვნული თავისუფლების დროშა აუმართნიათ და საყოველთაოდ აღიარებენ: „ერის თავისუფლებას პატივი ეცით“-ო! ამათ თანაუგრძნობს ევროპის საზოგადო აზრი, ძმურად ხელს უწვდის და გამარჯვებას უნატრის; ამხნევებს და აათკეცებს გმირთა სიყვარულს თავისუფლების მიმართ, მაგრამ საზოგადოების აზრს პოლიტიკის ბორკილი ადევს და ხელ-ფეხი შეკრული აქვს. უკეთეს მდგომარეობაში არც ევროპის სახელმწიფოთა მმართველნი არიან, გარდა ერთისა! ერთი სიტყვით, დღეს მთელი ევროპის თანაგრძნობა მიმართულია საბერძნეთისაკენ, რომელიც ეროვნულს პრინციპს, შევიწროებულ ერთა თავისუფლებას, საქვეყნოდ აღიარებს და მაგალითს გვიჩვენებს, თუ თავგანწირვა და სიკვდილი როგორ უნდა ამ საქვეყნო მადლის სადიდებლად“.

ქართველი სტუდენტები ბოლოს რჩევას სთხოვდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, ამ წერილზე პასუხს ილია ჭავჭავაძისაგან მოელოდნენ მისამართით: „პეტერბურგი, ეკატერინგორსკის შესახვევი 15, ბინა 6, ვიქტორ კანდელაკს“.

5 აპრილს ილიამ წერილი მისწერა ქართველ სტუდენტებს, რომელშიც აღნიშნა: „კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია ულონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭობ, რომ მოვა დრო, და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ ლაშქარსა. წინაშე მათისა ხმას გაკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად მხსნელი ლოდე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა. შეიძლება ამაზედ უდიდესი მაგალითი?!

რამდენი სითბოა დიდი ილიას ამ სტრიქონებში, რამდენი თანაგრძნობა ბერძენი ხალხისადმი!

ილია ჭავჭავაძემ ვრცელი წერილი მისწერა რა პეტერბურგში ქართველ სტუდენტებს, მათ თავისი მოსაზრებები გაუზიარეს.

ილიასეულმა „ივერიამ“ 30 ივნისის ნომერში მოიხსენია ორი ქართველი მოხალისე, რომლებიც საბერძნეთში საქართველოდან ჩავიდნენ და ბერძენთა მხარეზე იბრძოდნენ, თურმე მათზე ევროპის პრესაც წერდა: „გაზეთების სიტყვით, საბერძნეთში თავისუფალ მეომართა შორის 2 ქართველიც ყოფილა: ე. შევარდნაძე და ციკლიძე“, — აღნიშნავდა გაზეთი.

როგორც ახლა დადგინდა ერემია შევარდნაძესთან (1867-1954) ერთად საბერძნეთში მისი მეგობარი ვარლამ წითლიძე იყო. ვ. წითლიძე ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო ე. შევარდნაძე საბერძნეთის სამხედრო სარდლობამ უმაღლესი ჯილდოებით დააჯილდოვა. ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო ჯილდო რევოლვერი იყო, რომლის სპილოს ძვლის ტარზე გაკეთებული ოქროს წარწერა იუწყებოდა მისი პატრონის დამსახურებაზე საბერძნეთის წინაშე.

ომის დამთავრების შემდეგ ერემია შევარდნაძემ მუშაობა დაიწყო საბერძნეთის არმიის შტაბში პოდპოლკოვნიკის ჩინით და საბერძნეთში 1904 წლამდე მსახურობდა.

დღეს კარგად არის ცნობილი საქართველოში ქართველთა და ბერძენთა კეთილი და მეგობრული ურთიერთობა. ეს ისტორიული ტრადიციაა, რაზეც დამაჯერებლად მეტყველებს 100 წლის წინათ საქართველოს სულიერი მამის ზემომოხსენებული მხოლოდ მცირე სტრიქონებიც.

**ანდრე კარბელაშვილი.**

---

# მეფის პირადი მკურნალი საქართველოდან

ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე არაერთი წერილი და ინფორმაცია გამოქვეყნებულა უცხოეთის ქვეყნებში მცხოვრებ საქართველოს მეგობრებზე, იმათზეც, ვინც საკუთარი სამშობლო დატოვა სხვადასხვა მიზეზით და თავისი გარჯით პატივი დაიმსახურა საზღვარგარეთ. ამ მხრივ ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია „ივერიაში“ 1891 წელს გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ: „ამას წინათ ათენის გაზეთებმა დაიწყეს ლაპარაკი და დიდად აქებენ ახალგაზრდა კავკასიელს ლაზარე კატანაშვილს, გისტოლოგიისა და ექსპერიმენტალური პატოლოგიის პრივატ-დოცენტს ათინის უნივერსიტეტში. ეს ლაზარე პავლეს ძე კატანაშვილი წალკელ ბერძენთა მღვდლის შვილია. ოთხი კლასი ტფილისის სასულიერო სემინარიაში შეასრულა 1882 წ., შემდეგ მეორე წელსვე გადავიდა გიმნაზიაში და კურსის დასრულების ეგზამენი დაიჭირა და იმავე წელსვე კიევის წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტში შევიდა სამკურნალო ფაკულტეტზე. როცა ამ უნივერსიტეტში არეულობა მოხდა (1884 წ.), კატანაშვილი ათინის უნივერსიტეტში გადავიდა, 1890 წ. ზაფხულში მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი, მედიცინის დოქტორის ხარისხი მიილო და სამკურნალო ფაკულტეტმაც თავის მხრივ მოწოდების ფურცელი მიუზომა. ამას წინად კატანაშვილმა რუსულიდან ახალბერძნულის ენაზედ გადათარგმნა „მიკრობიოლოგია“ რუსეთის სამკურნალო სადოსტაქარო აკადემიის პროფესორის მ. ი. აფანასიევისა. ამ ნათარგმნს დიდად აქებენ ბერძნული გაზეთები“.

* * *

ქალაქი პირეი საბერძნეთის უმნიშვნელოვანესი საზღვაო ნავსადგურია. მის სანაპირო ქუჩაზე 1895 წელს საბერძნეთის დედოფალმა ოლგამ მიწის ნაკვეთთან ერთად შეიძინა სამსართულიანი დიდი შენობა და ჰოსპიტლად გადააკეთა, აღჭურვა უახლესი სამედიცინო აპარატურით და იგი სამხედრო ფლოტის მეზღვაურთა მკურნალობას დაუთმო.

ჰოსპიტალი საუკეთესო აღმოჩნდა საბერძნეთში. დედოფალმა აქ თავიდანვე მთავარ ექიმად ლაზარ კოტანოვი (კატანაშვილი) დანიშნა, რომელიც ამ დროისთვის ქვეყნის ერთ-ერთი ცნობილი ექიმი გახლდა. გარდა ამ მოვალეობისა, წალკიდან წასული ახალგაზრდა ათენის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ანატომიის კათედრის პროფესორი იყო, პროფესორი და პირეის ჰოსპიტლის მთავარი ექიმი.

როგორც გაზეთმა „ივერიამ“ აღნიშნა, ლაზარეს მამა მღვდელი იყო. როგორც ჩვენ დავადგინეთ, პავლე დიმიტრის ძე კოტანოვს ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა: სპირიდონ, ფეოდორ, ივანე, კონსტანტინ და ლაზარე. საბერძნეთში ჩასულმა ლაზარემ ცოლი შეირთო, ქალ-ვაჟი ნინა და პავლე ეყოლა (1895-1903). ნინას შეეძინა ლუიზა, კოსტასი, სიცა, ხოლო პავლეს — რენა (ირინა), ლაზაროსი, ტალისი. ისე რომ, პროფესორს ექვსი შვილიშვილი ჰყავდა. აღარ ჩამოვთვლით შვილთაშვილებს.

ცნობილი პროფესორის შთამომავლები საბერძნეთში ცხოვრობენ, ძირითადად ათენში და სალონიკში. ეს კი შესაძლებლობას იძლევა ბევრი რამ ახალი და საინტერესო შევიტყოთ ლაზარე პავლეს ძე კოტანოვისა და მისი შთამომავლების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. და ისიც, თუ რა კავშირი აქვთ მათ დღეს საქართველოსთან. სხვათა შორის, ჩვენ გავიცანით წალკაში მცხოვრები ლაზარ კოტანოვის ძმის სპირიდონის შვილიშვილი პავლე კოტანოევი, რომელსაც დღესაც მიმოწერა აქვს ლაზარეს შთამომავლებთან.

100 წლის წინათ, 1897 წელს, საბერძნეთ-ოსმალეთის ომის დროს ქალაქ პირეიში არსებული მეზღვაურთა ჰოსპიტალი ძალზე გადაიტვირთა დაჭრილი მებრძოლებით. ჰოსპიტალში, რომელიც საბერძნეთის დედოფლის მფარველობის ქვეშ იყო, უმეტესად ბრძოლებში დაჭრილი გამოჩენილი მებრძოლები მკურნალობდნენ. აქ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავარი ექიმი ლაზარე კოტანოვი იყო. და აი, სწორედ ამ ჰოსპიტალშია გადაღებული ფოტოსურათი, რომელსაც მკითხველებს ვთავაზობთ. დაჭრილ მეზღვაურთა შორის ზის ლაზარე კოტანოვი.



ეს პერიოდი, 1897 წელი შეგვახსენებს, რომ ამ დროს ჩავიდა საქართველოდან პირეიში ერემია შევარდნაძე, რომელმაც სამხედრო ჯილდოები დაიმსახურა ბრძოლის ველზე და დაჭრილი მოათავსეს სამხედრო ჰოსპიტალში. გარკვეული მოსაზრებებით ეს სწორედ ის ჰოსპიტალი იყო, სადაც ლაზარე კოტანოვი მუშაობდა და ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ მთავარმა ექიმმა გულთბილად მიიღო ქართველი ვაჟკაცი. სხვათა შორის, სწორედ 1897 წელს საქართველოდან საბერძნეთში ჩამოვიდა 17 წლის ელენა კონსტანტინიდისი და ბრძოლებში ისეთი სახელი გაითქვა, ბერძენმა ხალხმა თბილისში აღზრდილი ქალიშვილი საბერძნეთის ჟანა დარკად აღიარა.

საქართველოსა და საბერძნეთის ურთიერთობის მრავალი შთამბეჭდავი სურათი შემორჩა ისტორიას. და თუკი თანამედროვეობა არ არსებობს ისტორიის გარეშე, ალბათ, საჭიროა შეიქმნას წიგნი ქართულ და ბერძნულ ენებზე, რომელიც თავის ფურცლებზე აღბეჭდავს ორი ქვეყნის ცნობილ პიროვნებებს, ქართველი და ბერძენი ხალხის მეგობრობის ღირსშესანიშნავ ფაქტებს. ეს თემა მარტო პუბლიცისტების კი არა, ალბათ, ქართველი და ბერძენი კინოდოკუმენტალისტების ყურადღების ცენტრშიც შეიძლება აღმოჩნდეს.

... და ბოლოს, დავუბრუნდეთ ჩვენს სათაურს.

ლაზარე კოტანოვი (ანუ როგორც „ივერია“ წერდა — ლაზარე კატანაშვილი) არა მარტო ათენის უნივერსიტეტის პროფესორი და საბერძნეთის ყველაზე პრესტიჟული ჰოსპიტლის მთავარი ექიმი გახლდათ, არამედ ოფიციალურად საბერძნეთის მეფის გიორგის პირადი მკურნალი იყო. მეფეს კი ასეთ ექიმად, სავსებით ცხადია, საუკეთესო სპეციალისტს დაუნიშნავდნენ.

შეიძლება ითქვას, საბერძნეთის ყველაზე ცნობილი ექიმი საქართველოდან ყოფილა!

**ანდრე ცისკარიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა





● 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ათენის ოლიმპიური სპორტული კომპლექსის ნაწილი.

● „ოლიმპიადა-2004“ კომიტეტის პრეზიდენტი ჯ. ანგელოპულოსი და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი პ. სიმიტისი ათენის მცხოვრებთა მილოცვებს იღებენ.

## მექსიკის მმართველი პარტიის თავმჯდომარეები „მეისრეთა“ როლში გამოდიან

თავმჯდომარის სავარძელი ისე მოირყა, რომ მასზე დაჯდომა უფრო ძნელია, ვიდრე ჩამოვარდნა. ასეთი ირონიული კომენტარი გაუკეთა პრესამ მექსიკაში 68 წლის მანძილზე უცვლელად მმართველი ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის ლიდერის უმბერტო როკე ვილიანუევას გადადგომას.

ეს პოსტი თვალსაჩინო პოლიტიკოსს ეკავა ნახევარ წელიწადზე ოდნავ მეტს ხანს — პარტიის წესდებით დადგენილ ვადაზე ორჯერ ნაკლები ხანი. მაგრამ მისი რაღაც განსაკუთრებული ბრალი ამაში არაფერია: ბოლო ხუთი წლის მანძილზე პარტიამ შეიცვალა 7 თავმჯდომარე და როკე ვილიანუევამ ამ პოსტზე ყველაზე მეტ ხანს გაძლო. მისმა ერთ-ერთმა წინამორბედმა პარტიულმა ლიდერმა გაძლო ერთ თვეს, მეორემ — სამ თვეს, მესამემ — ოთხ თვეს...

ბედის ირონიით, პარტიის ყოველი ახალი თავმჯდომარე თავის მოღვაწეობას ამ პოსტზე იწყებდა განცხადებით, რომ მისი პარტია უწინდებურად ძლიერია და ოპოზიციის მტკიცებების საწინააღმდეგოდ არავითარ კრიზისს არ განიცდის. მათი გადადგომა კი ხდებოდა ისე, რომ თავჩაქინდრულნი, და იმ „მეისრის“ რეპუტაციით ტოვებდნენ პოსტს, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ ყველა პარტიულ უბედურებაში. პარტიულ ხელმძღვანელთა ესოდენ ხშირი შეცვლის ფაქტიც თავისთავად მრავალისმეტყველია, მმართველ პარტიას „ციებცხელება“ შეჰყრია, თანაც ძლიერი.

ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის გაელენის დაქვეითების მიზეზებს ადგილობრივი ანალიტიკოსები პირდაპირ უკავშირებენ მის მეტად გაჭიანურებულ ძალაუფლების მონოპოლიას. 1929 წელს მექსიკის რევოლუციის იდეალების ერთგული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების გაერთიანების მიზნით შექმნილი პარტია გადაიქცა იმად, რასაც რესპუბლიკაში უკვე დიდი ხანი უწოდებენ „ბიუროკრატიულ პარტია-მთავრობას“. მის წიაღში ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად მხოლოდ პარტიის წევრებს უკავიათ ხელმძღვანელი პოსტები სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებში, ახლო წარსულამდე კი ისინი სხვა დონეზეც სჭარბობდნენ.

მექსიკაში ერთპარტიული მოდელი მოძველდა ჯერ კიდევ 1988 წელს, როცა ოპოზიციამ, თუმც ბოლოს დამარცხდა, პირველად გაუწია ინსტიტუციურ-რევოლუციურ პარტიას სერიოზული კონკურენცია ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. შემდგომში კრიზისი მატულობდა ზვავისებურად და მის აპოგეად შეიძლება მივიჩნიოთ მიმდინარე წლის ივლისში ქვეყანაში გამართული ეროვნული კონგრესისა და ადგილობრივი ხელისუფლების მთელი რიგი ორგანოების არჩევნები. არჩევნების შედეგების თანახმად, ამ პარტიის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ერთად უმრავლესობა მოიპოვეს პარლამენტში, აგრეთვე, მნიშვნელოვნად განამტკიცეს თავიანთი გაელენა ადგილებზე.

მაგრამ, როგორც მეთვალყურენი აღნიშნავენ, მმართველ პარტიას ინერციით ჯერ კიდევ უჭირს შექმნილი სიტუაციის სალად შეფასება. იგივე როკე ვილიანუევამ თავის გადადგომამდე ერთი დღით ადრე საჯაროდ განაცხადა, რომ „მაგრად ზის“ თავმჯდომარის სავარძელში, ხოლო ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია ისევ სტაბილური პოლიტიკური ორგანიზაცია და „მექსიკის საზოგადოების ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველია“.

ამავე დროს მექსიკაში არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ კრიზისის პირობებში ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის წიგნით გაძლიერდა კულისმიღმა ბრძოლა ძალაუფლებისათვის მის რეფორმატორულ ფრთასა და „დინოზავრ კონსერვატორებს“ შორის. ამის არაპირდაპირი დადასტურება გახდა თავმჯდომარის პოსტზე როკე ვილიანუევას მემკვიდრის დანიშვნა. პარტიულ დერეფნებში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ, როგორც ზოგიერთი პოლიტოლოგი ფიქრობს, შეიძლება ძლიერი ქარიშხალი ატყდეს.

## ისრაელი მშვიდობიან გზებს დაეძებს

ისრაელის მთავრობის წარმომადგენელმა ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში სირიასთან გამართა საიდუმლო მოლაპარაკება აშშ სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის ვიზიტის წინ, წერს ბრიტანული „ტაიმსი“. ისრაელის რადიოს მონაცემებით, ეს წარმომადგენელი იყო პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიახუს მრჩეველი უზი არადი, ექსპერტი არაბეთის საქმეებში. თუ რა ქვეყანაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება, არავინ იცის. თემა, ბუნებრივია, ერთი იყო — სამშვიდობო მოლაპარაკების განახლება. ინფორმაციამ საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ გამოჟონა მაშინვე, როგორც კი ისრაელის ოპოზიციის ლიდერმა ეგუდ ბარაქმა გააკეთა განცხადება, სირიასთან შესაძლო ომის შესახებ. როგორც ისრაელის რადიო იუწყება, ისრაელმა საიდუმლოდ შეუთვალა სირიას, რომ მზად არის განიხილოს რაღაც ახალი იდეები მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე. „ტაიმსის“ აზრით, სირიასთან მშვიდობის დამყარება ისრაელის ხელმძღვანელობის ძირითადი ამოცანა ხდება, ვინაიდან ეს შესაძლებლობას მისცემს ისრაელს დატოვოს ლიბანის სამხრეთში უსაფრთხოების ზონა“. იქ ისრაელ ჯარისკაცთა ყოფნა სულ უფრო არაპოპულარული ხდება ისრაელში იმის გამო, რომ სამხედრო მოსამსახურეთა შორის მატულობს მსხვერპლი. როგორც ცნობილია, ლიბანში განლაგებულია სირიის ჯარების კონტინგენტი. გარდა ამისა, საიდუმლო როდია, რომ სირია ეხმარება ისლამისტ ფუნდამენტალისტებს, რომლებიც პარტიზანულ ომს ეწევიან ისრაელი ჯარისკაცების წინააღმდეგ, აგრეთვე „კატიუშების“ ცეცხლს უშენენ ისრაელებს.

## გაიხნია, სიღატაკის ზღვარი რამდენია...

მოულოდნელი შედეგი მოიტანა ჰონკონგელ ეკონომისტთა ჯგუფის მიერ განხორციელებულმა გამოკვლევამ, წერს „სიდნეი მორნინგ ჰერალდი“. აღმოჩნდა, რომ სიღატაკის ზღვარზე დაბლა მცხოვრებ ჰონკონგის მოქალაქეთა რიცხვი ჩინეთთან შედარებით მეტი ყოფილა. ჰონკონგში სიღატაკის დონე შეადგენს 480 ამერიკულ დოლარს თვეში (დაახლოებით 624 ლარი). ყოფილ ბრიტანეთის კოლონიაში ასეთ თანხას იღებს 856 ათასი კაცი, ანუ მოსახლეობის 14 პროცენტი. ჩინეთში კი სიღატაკის ზღვარზე დაბლა ცხოვრობს სულ 6 პროცენტი. კვლევის გამოქვეყნებულმა შედეგებმა ჰონკონგის მთავრობის მკაცრი პროტესტი გამოიწვია, აღნიშნავს „სიდნეი მორნინგ ჰერალდი“. მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰონკონგში ბატონობს დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა, და ამიტომ იქ თავისუფალია საქმიანობისა და სამუშაოს არჩევანი. ამავე დროს, ბევრს არ გამოუდის ერთბაშად გამდიდრება, და შემოსავალი მცირე აქვს. მიუხედავად ამისა, ასობით არალეგალური იმიგრანტი კვლავინდებურად მოისწრაფვის სწორედ ჰონკონგში, და არა ჩინეთში, განაცხადა ჰონკონგის მთავრობის წარმომადგენელმა.

## გერმანელთა 90 პროცენტს ქალები ომში დასაღუპად ემეტება

გაზეთი „ექსპრესი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება გერმანიაში ბოლო დროს ფართოდ გაჩაღებულ კამათს იმის თაობაზე, დართონ თუ არა ქალებს ჯარში სამსახურის ნება. ბოლო დრომდე ქალებს უფლება ჰქონდათ ემსახურათ მხოლოდ სამედიცინო ნაწილებსა და სამხედრო ორკესტრებში. დღეს კი ქალები მოითხოვენ, რომ მათ ნება დართონ, იმსახურონ საბრძოლო ქვეგანაყოფში და ატარონ იარაღი. გაზეთი, აგრეთვე, იუწყება, რომ აქტივისტმა ქალებმა მხარდამჭერის მოსაპოვებლად უკვე მოაწყვეს მრავალი სოციოლოგიური გამოკითხვა. როგორც გამოკითხვის შედეგები მოწმობენ, გერმანიის ნახევარ მოსახლეობაზე მეტს ნამდვილად მიაჩნია, რომ უსამართლობაა, ქალებს აუკრძალონ ჯარში სამსახური. ყველაზე უცნაური კი, გაზეთის აზრით, ის არის, რომ გერმანელთა დაახლოებით 90 პროცენტმა საჭიროდ ცნო ქალების მონაწილეობა... საბრძოლო მოქმედებაში.



მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტში“ შეკუმშული გაზის ბალონის აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი და დაშავდა 3 კაცი.
● სურათზე: მაშველი სამუშაოები.



● შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და კონვერსიული პროდუქციის მეორე საერთაშორისო გამოფენის სენსაცია და გამოცანა გახდა ახალი ტანკი „შავი არწივი“, რომელსაც ომსკის (რუსეთი) სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხანა უშვებს. უცხოელი მეთვალყურეებისათვის სულცოტა ხნით ნაჩვენებმა ტანკმა, რომელსაც შენიღბული კოშკურა და შეიარაღება აქვს, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

## ირანი გამალებით იარაღდება

„ჯერმანი ლაივი“ აქვეყნებს მასალებს, რომლებიც ირანის აქტიურ ხელახალ შეიარაღებას ეძღვნება. გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიის საბაჟოს სამსახურის მონაცემებით, ბოლო დროს ირანმა სხვადასხვა ქვეყანაში შეისყიდა ძირითადი შეიარაღება და უახლესი სამხედრო ტექნოლოგიები. ამასთან, შეიარაღებას ყიდულობდა არა მთლიანად, არამედ ნაწილ-ნაწილ სხვადასხვა ქვეყანაში. სამხედრო ტექნიკის აწყობა და საბოლოო გამართვა ხორციელდებოდა ირანის ტერიტორიაზე. გაზეთი ამტკიცებს, რომ შესყიდვის საქმიანობას სათავეში უდგას ირანის ფირმა „დიფენს ინდასტრიზ ორგანაიზეიშნი“, რომლის შტაბბინა დიუსელდორფში მდებარეობს. გაზეთის აზრით, ამ ინფორმაციას ყურადღება უნდა მიაპყრონ სპეცსამსახურებმა.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

დამატება
ბავშვებისათვის №10
1997 წლის 14 სექტემბერი

# დილა მშვიდობისა

## შოთა რუსთაველი
### აფორიზმები

ლ
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს,
თუნდა ხვადია.
მ
მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე
თქვას ერთი, ორი.

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად
ძნელი გვარი.

მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ,
უვაჭრელად...

მეშინიან, თუცა შიშსა მოციქული
ვერ დაჰრიდობს.

მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ
კაცი თავსა ივნებს.

მართლად უთქვამს მეცნიერთა:
„წყენააო ჭირთა ბადე“;

მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ
ჭირთა უმუშაკო?

მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი
სამ დღე არ დაჭნების.

## შოთა ხოდაშნელი

### სკოლისაკენ

ჩვენ ყვავილებიც გვლოცავენ,
ღიმილს აფრქვევენ გზის
პირად.
სექტემბრით გახარებულნი
ყველა სკოლისკენ
მივფრინავთ.
სალამი სკოლავ, სალამი,
შენკენ რამდენი ვიარეთ,
ამდენ ხანს გაზუმებული,
ისევ ჩვენ აგახმიანეთ.
გეწვიეთ სახემლიმარი,
სიჩუმე უნდა გაკმაროთ,
გულში ჩაგვიკარ, ნათელო,
ჩვენი ბავშვობის აკვანო.
გზად ყვავილები გლოცავენ,
ღიმილს აფრქვევენ გზის
პირად.
სექტემბრით გახარებულნი,
ყველა სკოლისკენ
მივფრინავთ...

### ვის რა უყვარს

მიღიღინებს დათუნა:
— დარამ, დარამ... დიმ,
დირამ...
სექტემბერი დამდგარა,
სკოლისაკენ მივდივარ...
გრძელკუდაც და
გრძელყურაც
„ფორმას“ აღარ იხდიან,
არ დაგვაგვიანოთო —
სკოლისაკენ მიხტიან...
შაშვი, ბუ თუ კოდალა
„დედა ენას“ იფერებს...
სიხარულით, სიცილით
სკოლისაკენ მიფრენენ...
დგაფუნ-დგაფუნ კალმახიც
სკოლისაკენ მოცურავს...
რას დუდღუნებს ზარმაცი?
— უჰ, სწავლის დრო
მოსულა.

## სამუილ მარშაკი

# ბუა

ძილმა იცის ქურდული
სტუმრობა და თამაში,
თუ კარს ადევს ურდული,
ძვრება ჭუჭრუტანაში.

სტუმარია ცისმარი,
მოაქვს ბევრი სიზმარი,
ბევრი კარგი ზღაპარი,
თუ ჩააქრე ლამპარი
და დახუჭე თვალები...
შენ კი გენაცვალები.



და თუ ასირებულა,
არა სძინავს ზოგიერთს,
ბუა კვლავინდებურად
ჩამოუვლის ლოგინებს.
ძილი ძმაა უმცროსი
და ბუა კი უფროსი.

ბუა იცავს სიწყნარეს
და ხმაურს ვერ იწყნარებს.
ვისაც ძილი არ გიყვართ,
ყველას ბუა წაგიყვანთ!
* * *

რაღა მოცლა ექნება,
საქმეს შვრება ამნაირს:
პარკში მიერეკება
ტროლეიბუსს,
ტრამვაის.
ქუჩაში არ ლატოვებს
არც პატარა ავტოებს.
ეუბნება:
კმარაო,
ისრიალეთ ხვალაო!
* * *



თუ სადმეა სმაური,
ჩხუბი, აურზაური,
ბუა დააშოშმინებს,
აუვლის და ჩაუვლის.

ჭამა არ ახსენდება,
არც°რა ადარდიანებს.
უხმობს დასასვენებლად
დაღლილ ადამიანებს.
გზას უთმობენ ჩიტები,
ფრთახატულა პეპლები,
ქუჩები და ხიდები,
ჩქარი მატარებლები.
ესტუმრება ვაგონებს,
ბავშვებს თავს მოაგონებს.

ურჩებსა და ჯიუტებს
თავქვეშ ბალიშს მიუდებს.
არ შორდება საწოლებს,
ცელქებს სიზმრებს აწონებს.

ხან ჰაერში მიფრინავს,
ცად აჰყვება თვითმფრინავს.
დასტრიალებს საჭარმლებს,
ხმაურს ნებას არ აძლევს.
ბუას მკაცრი ბრძანებით
იძინებენ მგზავრები.

რა ქნას, უყვარს სიწყნარე
და ხმაურს ვერ იწყნარებს!
* * *

ერთხელ ღამით
ბუასთან,
ბუა-ტარაბუასთან,
ტელეფონმა დარეკა:
— არიქაო,
არიქა!
არ იქნა და არ იქნა,
ჩვენი ბიჭი მანასე
ხან ისეა, ხან ასე.
მობრძანდიო,
ბოდიში,
არა წვება ლოგინში!



ყველა სტუმარს აცილებს
და ტიტინით აცინებს,
თვითონაც არ იძინებს,
დედასაც არ აძინებს...

აღარ გვინდა, არაო,
წაიყვანეო ჩქარაო!
არა ტყდება მანასე,
ხშირად იცის მან ასე:
— რას დამაკლებს ბუაო,
ბუა-ტარაბუაო!
* * *

დაიძინეს მტრედებმა,
ველებმა და ქედებმა,
მერცხლებმა და შაშვებმა,
დიდებმა და ბავშვებმა.
არ იძინებს მანასე,
ხან ისეა, ხან ასე.

სადღაც ყეფენ ძაღლები,
შორს მოჩანან სახლები.
არ ისვენებს საათი,
აქვს ერთი მახლაათი.
ახლოდან თუ შორიდან,
უცებ ბუა მოვიდა.
სწრაფად, როგორც შურდული,
შემოიჭრა ქურდულად.
ბუას ხელში ეჭირა
იისფერი ბურთულა —
პაწაწინა ფარანი,
აბურძგნოდა ბალანი.

სიტყვა აწონ-დაწონა,
აბურტყუნდა საწოლთან.
— ვინ არიო, ვინ არი,
ცელქი, მოუსვენარი?
ვისაც ძილი არ გიყვართ,
ყველას ჩემთან წაგიყვანთ!

მაგიდაზე ავიდა
და აღმართა ხელები —
ამოფრინდნენ ფარნიდან
კოხტა გულწითელები.
აწრიალდა მანასე,
დადგა ბიჭი ძალაზე:
— მალე, მალე, ბუაო,
ბუა-ტარაბუაო,
დამიჭირე ჩიტიო,
სუყველაზე დიდიო.
დააცქერდა ბუა და
სიცილი აუვარდა:
— ღამეა და ყველანი
გულის ძილში არიან.
ნუ ხარ მოუსვენარი,



ეს მხოლოდ სიზმარია.
დაიძინე ტკბილი და
უშფოთველი ძილითა.
* * *

ვერაფერმა დაღალა
ტარაბუა ჭაღარა
მოიფხანა თავი და
ახლა სხვაგან წავიდა.

მისდევს ტყეში ბილიკებს,
სადღაც წყარო ლიკლიკებს.
ალაგ ხშირი ტევრია,
ალაგ — ახო ვერანი.
თურმე ტყეშიც ბევრია
ხალხი მოუსვენარი:
პაწაწინა ბარტყები —
ჩხიკვი, შაშვი, შოშია.
ბუა ყველას აფრთხილებს:
— ჭოტი ფუღუროშია.
ისხედითო ბუდეში,
არ დაეშვათ მიწაზე,
ბუკნა ჭოტი უხეში
უძლურს ხელად იტაცებს!
* * *

ძილი ძმაა უმცროსი
და ბუა კი უფროსი.
ძილი ღამე ჯანშია,
დღე კი განცხრომაშია.
ბუას სად არ ელიან,
დღისითაც ფხიზელია!
ტარაბუას სტუმრობა
არ გეგონოთ ხუმრობა.
თუ სადმეა ყვირილი,
წივილი და კივილი,
ეს პირველი კლასია,
იქ ყოველთვის ასეა,
აწყნარებენ ერთმანეთს,
ჩხუბი და ჯნიასია.
— წყნარად! — ყვირის ხათუნა
და ბანს აძლევს დათუნა
— არაფერი მიქნია! —
თავს იმართლებს ფიქრია.
— სულ პაატას ბრალია!
— დამნაშავე დალია!
— ხმაურია, ხმაური! —
იჭიფხება ზაური.
— მომკლა თქვენმა ზუზუნმა! —
აწიოკდა ქუქუნა.
იყო ერთი ყაყანი,
ჩხუბი, აყალმაყალი,
გულის გამწყალებელი.
მოუქვიდა ბრაზი და
მიდიოდა კლასიდან
თურმე მასწავლებელი.
უცებ ბუა მოვიდა,
ხელად, განა შორიდან,
მეზობელი სკოლიდან,
ტანდაბალი, პატარა.
ცელქებს დაუტატანა:
— ერთმანეთს ნუ აწყნარებთ,
გული ნუ გააწყალეთ!
დაამშვიდა ყველანი,
მუდამ მოუსვენარნი.
რა ქნას, უყვარს სიწყნარე
და ხმაურს ვერ იწყნარებს.
საჩუქარი არა სურს,
არც ჯილდოებს ატარებს...
ბუა
ზღაპრის დასასრულს
სალამს გითვლით პატარებს.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა.**

## გიორგი პაპუაშვილი

# ნუკრის წყარო

ზვალვიანი ზაფხული მძინვარებდა. ჯერ კიდევ ივნისში გამოელია მიწას სიჩხენტე. ივლისში უფრო გამოიფიტა და აგვისტოში კი დასკდა, გალაიწვა, გალასრიოკდა. ტყეშიც ნესტმა იკლო და სოფლის ონკანები ხასამშრალნი გამოიყურებოდნენ. დღეგამოშვებით, დილდილაობით რომ წყალი მოწანწკარებდა, ისიც ჩამოიწრიტა და ხალხმა აღარ იცოდა, საით წასულიყო. ბოლოს მოიფიქრეს და გაიხსენეს მეზობელი სოფლის წყარო, არასოდეს რომ არ შრება. ჩვენმა მერი მასწავლებელმაც იქ ამჯობინა წასვლა შვილიშვილის მანქანით.

წყაროსთან რამდენიმე წნორი იდგა. იმის ფესვებიდან გამოდიოდა ის წყარო. ცოტა არ მოდიოდა, მაგრამ ხალხი ბევრი იყო — სხვა სოფლებიდანაც იქ მიაშურეს. ხალხი ყაყანებდა. ზოგი ჩხუბობდა, ზოგი ხუმრობდა, სხვები ერთმანეთში საუბრობდნენ, პატარები კი თამაშობდნენ. განცალკევებით მხოლოდ ერთი ცისფერთვალება ბიჭი იდგა და ნაღვლიანად დაჰყურებდა სხვა წნორის ძირას გამოჟონილ წყალს, მიწა რომ ერთიანად აეტალახებინა. ბიჭი მარტო მაშინ უახლოვდებოდა რიგში მდგარ ხალხს, როცა დინჯად საუბრობდნენ. როგორც კი ხმას აიმაღლებდნენ და ერთმანეთთან კამათს იწყებდნენ, მაშინვე უკან ბრუნდებოდა და კვლავ სევდიანად დასცქეროდა იმ ადგილს, სადაც წყალი მოჟონავდა და მიწას ატალახიანებდა.

მერი მასწავლებელმა ბიჭი მისვლისთანავე შეამჩნია და მისმა საქციელმა დააინტერესა:

— ბიჭიკო, რა გქვია?

— ნუკრი.

— რაზე დარდობ? რატომ შენც ბავშვებთან არ თამაშობ?

— სათამაშო რა მაქვს? ორი ქვა უნდა მეჭიროს და თავში ვიცემდე. — მერი მასწავლებლისთვის მოულოდნელი იყო ასეთი პასუხი.

— რატომ?

— აქ ხალხი რიგში იტანჯება და ამოდენა წყალი კიდევ ტყუილად იღვრება. დიდი რომ ვიყო, აქვე გამოვთხრიდი და მეორე წყაროს გამოვიყვანდი.

— ვერ გავიგე. — ყურებს არ დაუჯერა მერი მასწავლებელმა.

— ხალხს ვეხვეწები, მიშველეთ, მეორე წყარო გავაკეთოთ, ღარი დავუდოთ და რიგი აღარ დადგება-მეთქი.

— გესმით, ხალხო, ამ ბიჭმა რა თქვა?! — აღტაცებით შესძახა მერი მასწავლებელმა, ბიჭის ნათქვამი სიტყვასიტყვით გაიმეორა და დაამატა: — ხალხს ბედი რომ ყველას ამ პატარა ბიჭივით აწუხებდეს, ქვეყანას აქამდე ავაშენებდით. მარტოოდენ მთავრობის გინება არაფერს გვიშველის, თუ ხელი არ გავანძრიეთ.

ხალხი ახმაურდა. ზოგმა მოიწონა პატარა ნუკრის აზრი, ზოგმა კი დასცინა.

— ვინც გონიერ აზრს დასცინის და თვითონ კი საქვეყნოს არაფერს აკეთებს, ის აფუჭებს საქმეს. ამ პატარა ბიჭივით რომ ყველას გული შესტკიოდეს სოფელზე, აქამდე ეშველებოდა ამ წყალს. მე რომ შემეძლოს, ვუშველიდი, წყაროს გავაკეთებდი და ნუკრის წყაროს დავარქმევდი.

— გავიზრდები და მაინც გავაკეთებ, თუნდა არავინ მიშველოს! — ბეჯითად განაცხადა ნუკრიმ და მერი მასწავლებელმაც მაშინვე დაიჯერა.

## ალექსი ხუციშვილი

### ასფურცელა

წიგნს შლის ილო,
ტირის თანაც,
თვალზე ცხელი
კურცხლები აქვს,
— ასფურცელას
მოგიტანო,
აქ კი ათი
ფურცელია!

ქართველმა ბიჭმა
მიიღო
ქართულ ენაში ორი...

### ძმობა

— თვლაც ვისწავლე,
გამრავლებაც,
შენ რა იცი, ძიძია?
— ცხრა ნაწილად
ერთი თხილის
გაყოფა შემიძლია.

### უცოდინარის იმედი

ხელში ჩაგიგდე,
კალამო,
წვერი რომ გიგავს
ეკალს,
ახლა მაჯობოს წერაში
შენმა პატრონმა ეკამ.

### ცოდნის წყარო

მასწავლებელს უსმენს
და
გია ველარ ისვენებს,
წიგნი წყარო თუ არის,
ჩანთას ხომ
დამისველებს?

### პირველი წარმატება

მღერის ბიჭი
ორღობეში:
— ჰერი, ჰერი, ჰერიო,
წამოველი სკოლიდან და
სახლსაც მოვაგენიო.

### ილო

ფეხზე დგას
მასწავლებელი,
საუბრობს ხერხით
ნაცადით,
ილო მერხიდან ადგა და...
— მასწავლებელო,
დაბრძანდით.

### სირცხვილი

ვაი, სირცხვილო,
სირცხვილო,
სირცხვილზე მეტო,
მგონი,

### აჯობა

ხელ-პირი რომ
დაიბანა
თამუნია ცქრიალამ,
მალვიძარა საათმა
მაშინ დაიწკრიალა.

## ჩემი თოჯინა

ლექსი მედეა კახიძისა
მუსიკა რუსუდან სებისკვერაძისა



წითელქუდას ზღაპარი
დავასწავლე ამ დილას,
გაისს ამ დროს
სკოლაში (2-ჯერ)
მივაბარებ ნამდვილად

რა ვუყოთ, თუ ზარმაცობს,
ჯერ ვერ ადგამს ნაბიჯებს.
შევასწავლი
სიარულს – (2-ჯერ)
რადაც უნდა დამიჯდეს.

## ალექსანდრე დიდებაშვილი

## ჩვენ ვსწავლობთ ან-ბანს

### ა, ბ, გ, დ

რიგი პირველი ასოებია,
ანბანში ასე იხსენებიან:
ა-ნი, ბა-ნი, გ-ანი, დ-ონი...
ჭიკჭიკს იწყებს იადონი.

### ვ

ვაზის ლერწის კავივით,
ორ კაუჭა ასოა,
ეს ვ გახლავთ, —
მოხდენილი, —
განა ულამაზოა!

მწვანე ველი ბიბინა
შველმა გადაირბინა...
კვიცი ჭიხვინს არ იშლის:
— მწვანე ველზე
გამიშვით!..

### ზ

მზეს სათვალე დავარდნოა,
ჩვენს წინაპარს უპოვია,
ზ-ენი მიუმსგავსებია,
გული ლხენით ავსებია.
დილით, მზე როცა სწვევია,
სათვალე მიურთმევია.
ეს ასო ახლა ჩვენია,
მზეს ზ-ენად შემორჩენია.

### თ

თ-ანი ჰგავს ძალიან
ლომის თითს ბწკალიანს.
წრე მოხაზე მრგვალი,
მიუხატე ბწკალი.
გამოვიდა თ-ანი,
გაახილე თვალი.
ასე წერო უნდა, —
ფაქიზად და სუფთად.
ჯერ რვა ასო გავიცანით:
...ე-ნი, ვ-ინი, ზ-ენი, თ-ანი.

### კ

ჩამოჰკიდებდნენ ნამგალს,
რომ მორჩებოდნენ
სამკალს...
განა არა ჰგავს კ-ანი
ჩამოკიდებულ ნამგალს?

### ლ

ცალკბილაც არის,
სამკბილაც,
გამოსაყვანი ადვილად.
ჰქვია მას ლ-ასი ან-ბანში,
ხარობს, წიგნს როცა
გადაშლით.

ცალკბილა — სიმინდის
მხარს ჰგავს,
სამკბილა — ნახევარს
ფოცხის
აბა, ჰა, ვინც დაწერს
კარგად,
მას უმალ დედიკო კოცნის.

## ჯემალ ქირია

## უფლისწული ჩიკორიკო



ერთ სოფელში ცხოვრობდა პატარა ჩიკორი. სულ სოფლის ბიჭებთან თამაშობდა. დედიკო ალერსით ჩიკორიკოს ეძახდა. ხშირად იტყოდა ხოლმე, ენაცვალოს დედა, მთელი დღე რომ იტრიალოს, ოდნავადაც არ დაიღლებაო. ისე იყო თავის საქმეში დაოსტატებული, მუდამ თითის წვერზე იდგა და სხვა დოყლაპია ჩიკორებივით გვერდზე არ მიწვებოდა. ბავშვებს ძალიან უყვარდათ თავიანთი ჩიკორიკო. თხილის წნელს აიღებდნენ და ფეხში დასცხებდნენ და დასცხებდნენ. ისე დატრიალდებოდა, ისე დაბზრიალდებოდა, ზუზუნს თუ გაიგონებდით, თორემ თვალს ვერ შეავლებდით. ამ ბზრიალ-ბზრიალში ვერავინ ხვდებოდა, სახე სად ჰქონდა და ზურგი სად.

მთელი სოფელი ამაყობდა თავისი ჩიკორიკოთი. ეგონათ, კარგად ვიცნობთო. ყოჩაღად ტრიალებდა. და ეს რა კარგი ჩიკორიაო, ყველა ამას ამბობდა. სინამდვილეში არც იცოდნენ, მის გულში რა ცეცხლიც ენთო. ჩიკორიკოს ქება თავში აუვარდა, თანდათან გაამაყდა, მე ვყოფილვარ, რაც ვყოფილვარ, ჩემზე მამაცი და ლამაზი არავინ არისო, სადღაც იმასაც მოჰკრა ყური, ესპანელთა ენაზე ჩიკორიკო „ოქროს ბიჭს“ ნიშნავსო და მთლად გადაირია. ქართული ჩიკორი რა მოსატანია, ოქრო ბიჭი ვარ, უცხო ქვეყნიდან ჩამოსულიო, მეფის გვარზე ნაკლები ჩემი გვარიც არ იქნება და ყველამ უფლისწული ჩიკორიკო უნდა დამიძახოსო...

ამას ხმამაღლა არ ამბობდა და ვინ მიუხვდებოდა გულისნადებს. სოფლის ბიჭები ძველებურად ერთობოდნენ და ჩიკორიც ძველებურად ბზრიალებდა. ყველამ იცის, ჩიკორს თუ არ ურტყი, ისე ვერ იტრიალებს და ბავშვებიც ღონეს არ იშურებდნენ. ადრე ჩიკორიკოს უფრო ის ბიჭები მოსწონდა, რომლებიც წნელს ძლიერ ურტყამდნენ. ახლა კი, მე, უფლისწულ ჩიკორიკოს როგორ მიბედავენ და წნელით მცემენო, დაიბოღმა და გულში ავი ზრახვა ჩაიდო. ერთხელაც პატარა ბიჭმა წნელი ღონივრად რომ მოუქნია, ჩიკორიკო მოწყდა მიწას, ონავარს ცხვირში ეტაკა და სისხლი ადინა. „ვაიმე დედა!“ — იყვირა პატარა ბიჭმა. ბავშვებმა თამაშს თავი მიანებეს და დაშავებულს მისცვივდნენ. უფლისწულმა ჩიკორიკომ ცოტა ხანს იბზრიალა, იბზრიალა, იბზრიალა და მტვერში ჩაემხო...

ამის შემდეგ ბავშვებმა დაივიწყეს ავი ჩიკორიკო. უკვე არავინ სცემდა, მაგრამ საბრალო ბზრიალას გვიან გაახსენდა, რომ უფლისწული ჩიკორიკო კი არა, ძაფის უბრალო კოჭი იყო, ოდესღაც კეთილმა დედიკომ ჩიკორად რომ გამოთალა.

უძღვება
**შოთა ხოდაშნელი,**

მხატვარი
**სიმონ ჭიორელი.**

## პოეზია უპირველეს ყოვლისა



### ამცნე კეთილ სამმოს...

ლექსო ხუტაურო,
სიტყვავ ხუტაურო,
ამცნე კეთილ სამმოს
მშვიდად, უხმაუროდ,

მთაში ირმის ძუძუ
როგორ გიწოვია...
შენი სტრიქონები
ოქროს იწონიან,

თუ ჟამს შებინდების
ასე გეჩვენება?
ნუ გწადს ამ ეკლიან
გზაზე შეჩერება,

ოცდამეერთეა
შენი ასწლეული
და ხამს შეაგებო
ხელი აწეული,

ნიშნად მისალმების,
ნიშნად გახარების...
წამით არ შეგიპყროს
შიშმა დახანების.

შენი მფარველია
ცეცხლი უხილავი.
დიდი სათნოებით
დღემდის თუ მხიბლავდი,

შუქი იმედისა
მოგეფრქვევა ჩვალაც,
დროსთან პაექრობის
რომ ექნება ძალა!

შეხე, თეთრი ბინდი
ჯიხას დასწოლია!
თუმცა გემუქრება
ვილაც ქვასროლია,

შენ ვერ დაგეწევა
მისი ქვა-ბელტები,
გზას ვერ შეგიკრავენ
ნისლის ნაფლეთები...

...ლექსო ხუტაურო,
სიტყვავ ხუტაურო,
მამულს ემსახურე
მშვიდად, უხმაუროდ.

27 ივნისი, 1997.

### ისევ შენ

ლოცვის კილოზე, როგორც
გითქვამს
ჩემთვის მანამდეც,
შინიდან გასულს დამადევნებ:
– ღმერთი გფარავდეს!

თვალწინ იფრქვევა გაზაფხულის
ნათელ ჩქერებად
ჟამი, რომელიც შორეულად
არ მეჩვენება.

მივილტვი იქით, სადაც ბორგავს
ზღვა შეჭირვება
და ობლად შთენილს, თანადგომა
ასე სჭირდება!

თითქოს მემართოს
ოქრო-ვერცხლი
ვილაც მევალის,
მთელი დღე ვრჩები
ტკივილებთან,
ვითარც მძევალი...

სალამოისას, ოდნავ გვიან,
რომ დავბრუნდები.

## ხუტა ბერულავა

# ახალი წიგნიდან

იცნობ ფეხის ხმას და კარებთან
მობაჩუნდები.

– მადლობა უფალს! – მომაძახებ
და გელიმება.
უამლიმილოდ ჩემი ყოფნა
რა ეღირება?!

იგი მამღერებს მე იმგვარი
თავდავიწყებით,
ასე მგონია, ვით პოეტი,
ახლა ვიწყები!

25 ივლისი, 1997.

### იმ გაზაფხულზე

ნაღვლობს თბილისი:
როგორ გადის დრო!
დაცხრა ივლისი,
დაცხრა აგვისტო
და ცხრა ზღვის იქით,
და ცხრა მთის იქით
უხმობენ მერცხლებს
თბილი ქვეყნები.
კვლავაც დავტკბები
მათი ჭიკჭიკით?
იმ გაზაფხულზე
კვლავ შევეყრები?

20 აგვისტო, 1997.

### მივდივარ მთისკენ

მივდივარ, დაე, მთის პაერი
შესვან ფილტვებმა
და განვერიდო ურწმუნოთა
საცოდავ ქირქილს.
ძირფესვიანა რომ შეიცნო
ჭეშმარიტება,
დიდი სდომია ძალისხმევა
და ცოტა ფიქრიც.

27 ივნისი, 1997.

* * *

ცოტა მომხდური შმაგი, ბოროტი
აგისხეპია ამ ხმლით ბოლომდის?
დაგიწყევლია ასიათასჯერ
სიავე მათი და სიალქაჯე!

27 ივნისი, 1997.

### ვით მოიხიბლოს?

მეგობრის ბედზე რომ ინისლები,
გწამს წმინდა ძმობის და ფიცის
მადლი.
ვით მოიხიბლოს მგოსნის
ღირსებით,
ვინც ამ ღირსების არ იცის
ყადრი?

18 ივლისი, 1995.

### სად მოგიყვანეს

ღმერთი მაღალი და დიდებული
ხამს ბოლო დღემდე სათნოდ
გიყვარდეს.
დროის ტალღებზე
თავმიდებული,
ხომ ხედავ, წლებმა სად
მოგიყვანეს?

15 სექტემბერი, 1996.

### ვისზეც ვლოცულობ და ვილოცებ...

არ გატეხილა მეოცნებე პოეტი
მამა,
რადგან თქვენ მყავხართ –
მზეო, მალვა, არჩილ და
თამარ;
შვილიშვილებო – გოგა, ნუცა,
მიხო და სანდრო,
ჩემს ყველა იმედს და სიხარულს
თქვენს გულებს ვანდობ;

ვანდობ ნინუცის, უმცროს მაკოს
და კიდევ რამდენს,
ვისზეც ვლოცულობ და ვილოცებ
მე ბოლო გზამდე!

16 ივლისი, 1997.

### ათი დეკემბერი

ვისაც ვახსოვარ,
ვგონებ, ეს დღეც
არ ავიწყდება
და ამისათვის
არ დაელოცო, ცა გამიწყრება.
ვისაც ვახსოვარ,
დღეს შეესწროს
ლამაზს, უთვალავს...
ვავიწყდები და,
შეიწყნაროს მამა უფალმა!

10 დეკემბერი, 1996.

### და მიჰქრიან დღეები...

ჩაივლიან დღეები,
ვითარც მდინარეები,

წლები ჩაზვავდებიან
ხრამში ჩაუხედავად.
დაისრული შლეგთაგან
მე კი ისევ მხნედა ვარ!

თითქოს მშობა დედამან
კლდეთა დაცამლეწავად,
ვიდრე სათქმელს არ ვიტყვი,
ამ ქვეყნიდან ვერ წავალ!

და მიჰქრიან დღეები,
ვითარც მდინარეები.

22 ივნისი, 1997.

### ტიციან ტაბიძეს — ასი წლისას

ხამს დოქი დავიდგა
და თასი პირსავსე,
თუმცა დღეს ვის ახსოვს
ღვინო და ღრეობა...
თავს მდაბლად გიხრი და
ამ ასი წლის თავზე,
ბატონო ტიციან,
გილოცავ დღეობას.

მგონია, გიხმობენ
ხმამაღლა, დილ-დილით
ორპირის ფშანები
და სოფლის ყანები.
სიკვდილით ვერ გძლიეს
და ახლა სიკვდილით
სხვას ემუქრებიან
სხვა ცოფიანები.

არავინ იფიქროს,
რომ ვისმე გადრიდე,
მერწმუნე, არა მყავს
სხვა შენი ბადალი.
რაინდულ ღაღადისს
მოვისმენ ადრინდელს
და გულში ღვივდება
ამ ცეცხლის ლადარი.

9 აპრილი, 1995.

### ფიქრები გაზაფხულისა

სამახარობლო მერგება:
ბაღში იფეთქეს ნერგებმა

და გაალვივეს კვირტები,
და გაალვიძეს ჩიტები.

სინაზე ამომზიანდა
ყვავილთა სანდომიანთა.

უხვად განიბნა ჰაერში
სითბო მიწისა და ემხი.

ერთურთს დაუწყეს ძიება
ენძელებმა და იებმა.

ჩაიქლურტულეს ფრთოსნებმა:
ახდაო ჩვენი ოცნება!

23 აგვისტო, 1997.

### დედასაქართველოვ...

შეეწიროს ჩანგი
შენს დიდებას. ამინ!
საყვედური ოდეს
დამცდენია განა?
დღეს პირველად ვბედავ
შესიტყვებას წამით:
– შვილებს რომ არ სწყალობ,
არ გრცხვენია, ნანა?

გლახაკს ნება რად აქვს,
მართლა ბურჯი დაგმოს?
ცრემლი პოეტისა,
რა ცხელია, ხედავ?
მშვიდად აპარპაშებ
ათას უჯილაგოს,
რატომ, რატომ, რატომ?
არ გრცხვენია, დედავ?!

12 მაისი, 1997.

### საგუგულე თოვლივით

უცხო მხრიდან ლტოლვილი
მოჩინდრიკობ სახედრით.
საგუგულე თოვლივით
დნება შენი სახელი.

2 იანვარი, 1996.

### ახლა თუ არა...

მე ჩამჩურჩულეს ანგელოსებმა:
– ამ ქარაშოტში რა
გემგოსნება?

საცაა მიწა ნაცრად იქცევა
და მზის სხივთაგან ცა დაიცლება.

არ დავაყოვნე, რაც უნდა მეთქვა:
– გალობას ითხოვს ამ გულთა
ფეთქვა,

რომელთაც ცეცხლმა გადაუარა.
ახლა თუ არა, ახლა თუ არა,

როდის ათრთოლდეს პოეტის ქნარი?
მიყვარს, მის წკრიალს
რომ ერთვის ქარი!

9 ოქტომბერი, 1993.

### მხოლოდ სიკეთეს...

ანაზდეულად ჩნდება კითხვა
ყოვლისმომცველი:
– რად ვიხოცებით ღვთისშვილები,
რომ ვიხოცებით

ამ უსასრულო თამაშივით
უაზრო ომში?
გულთ ულმობელი სიძულვილის
თუ აზრობს თოში,

სიკეთეს ძალუძს, ვით მეკვლემან,
გზა გაგვინათოს
და მშვიდობაში, ვით კუნძულზე,
დაგვაბინადროს.

სიკეთეს-მეთქი ... ძალას მისას
ისე მიენდეთ,
მემკვიდრეები წმინდანებად
გიხსენიებდეთ.

24 აგვისტო, 1997.

* * *

მე სიტყვას განა გამატეხინებს
ჭირვეულობა კალმის?
ვითარცა პოეტს და
ნათელმხილველს,
შეუძლებელიც ძალმიძს:

სათნო რითმებში ავაკიაფებ
უმშვენიერეს აზრებს,
რომ ეს კაფია არ გაიაფდეს
და არცა ოდეს დაზრეს.

17 მარტი, 1996.

* * *

ნუ იტყვი, თითქოს სხვათა
ქალაქში,
რომ ანათებდი თვალთა
კაშკაშით,
[illegible]
[illegible]
გაეთარეშოს;

ნუ იტყვი, თითქოს დარდობდი
ჩემზე
და ცის ნამივით ალბობდი ლექსებს,

ზღვას რომ ეატანდი ბედზე მტირალი,
ვით მზესუმზირა, შენკენ
მზირალი.

ნუ იტყვი... ოღონდ მახარე, ქალავ,
რომ დაუბრუნდი საყვარელ
ქალაქს!

17 ივნისი, 1995.

### მამულს დღემშვიდობის მიახარე!

დროა შევიწყნაროთ
ერთმანეთი,
დროა ხვალის დღეზე
ჩაფიქრების.
მხოლოდ სამშობლოა
ერთადერთი,
რომლის დავიწყებაც არ
იქნების,

როგორც მამა-პაპის წმინდა
ხსოვნის,
როგორც მშობლიური
სახელების,
გულთა წამებულთა სიახლოვის...
დროა ერთმანეთის გამხნევების!

ღვთიურ მიწა-წყალზე
ერთადყოფნა
ბრძენმა წინაპრებმა
გვიანდერძეს:
– ხალხო, უპატრონე შენს
ნაოფლარს!
სცოდავს, ვინც სიყვარულს გვიან
ეძებს!

ღმერთმა მოძმეებად
დაგვამკვიდრა,
ერთურთს ჩვენ მაცილმა
გადაგვკიდა,
მაცილს ქვა და გუნდა მიაყარე,
ახლა შველა უნდა მზიან
მხარეს.

მამულს დღემშვიდობის
მიახარე!

14 ივნისი, 1997.

* * *

ირგვლივ დიდი სევდის
გმინვა-ზუზუნია,
კლდეს რომ სეტყვასავით
მკერდით ელეწება.
ბედზე მამულისა
ვისაც უზრუნვია,
მზე არ ჩაუქრება.
ღმერთი შეეწევა.

24 აპრილი, 1993.

* * *

არ შორდება ბაგეს:
– ვაი, ჩემი ცოდვა!
ცის წიაღში ვეძებ
საიმედო ფიქრებს.
სიხარულის წამო,
გამიჩერდი... ცოტა,
ცოტა, ცოტა სითბო
გაიმეტო იქნებ!

ცოტა შვება მინდა,
შრომაც მინდა მეკვლის,
მალე, მალე, მალე
რადგან დაველამდები,
შორეთს წასვლის შემდეგ
რომ დამიდგან ძეგლიც,
გაველაღდები განა
ამგვარ ამაღლებით!

ამ გატანჯულ გულში
მზის წკრიალი ისმის
და მგონია, ქვეყნად
არ ვიცხოვრე ცუდად,
ნაცნობსა თუ უცნობს,
ვინც კი არი ღირსი,
ვლოცავ, ვლოცავ, ვლოცავ
და ... ვილოცებ მუდამ.

24 აგვისტო, 1997.

პოლიტიკა

# ჩვენ იძულებული ვიყავით, გამოგვეცხადებინა რესპუბლიკა

## უღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე კოსტა ძუგაევი უპასუხებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტის შეკითხვებს

***— როგორ გგონიათ, შეძლებთ მისდიოთ იმ პრინციპებს, რომლებიც თქვენი საქმიანობის დასაწყისში დაისახეთ მიზნად?***

– მე მგონი, შევძლებ. საქმე ის არის, რომ ეს პრინციპები უბრალოა. ჩვენ უნდა აღგვედგინა კანონიერება რესპუბლიკაში და მინიჭებინა სამხრეთელი ოსებისათვის უსაფრთხო და შეძლებული ცხოვრების საშუალება, თან ისე გვეკეთებინა ეს, რომ მშვიდად შეგვეხედა თვალებში ადამიანებისათვის. ჩვენ დავამყარეთ მართლწესრიგი და ახლა ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა, გამონახოთ ქართველ-ოსთა კონფლიქტის მოგვარების ისეთი კონსტრუქცია, რომელიც თავიდან ააცილებდა ჩვენს ხალხებს ახალ შეტაკებებს.

***— რა დაჰკარგა და რა შეიძინა სამხრეთ ოსეთმა რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ?***

– ჩემი აზრით, ჩვენ რამდენამე ვიჩქარეთ მისი გამოცხადება – ეს აზრი მე გამომითქვამს ხელისუფლებაში მოსვლამდეც. ჩვენ ამან დაგვაკარგვინა ანტიზვიადისტურად განწყობილი ქართველი პოლიტიკოსების ნაწილის ნდობა. და, სხვათა შორის, იმ დროს ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობამიც იგრძნობოდა ერთგვარი გულაცრუება ჩვენს მიმართ. სხვა საქმეა, რომ რესპუბლიკა ჩვენ მაინც უნდა გამოგვეცხადებინა, იძულებული ვიყავით, გამოგვეცხადებინა. ვინაიდან, ეს იყო ერთადერთი პოლიტიკური და სამართლებრივი დაცვა გამსახურდიას რეჟიმისაგან. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, დაგვეცვა თავი და გვეშენებინა საკუთარი ქმედუნარიანი სახელისუფლებო სტრუქტურები, და დღეს ეს უკვე რეალობაა, რომელიც არ შეიძლება არ გაითვალისწინო.

***— როგორია, თქვენი აზრით, ახალგაზრდა თაობის როლი მომავალი ოსეთის მშენებლობაში?***

– სწორედ „ჩიბიროვის გუნდის" დროს, მისი პირადი ინიციატივით შეიქმნა მასობრივი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდა ახალგაზრდობის აქტიური ნაწილი. ჩვენი სახსრების მთელი სიმწირის მიუხედავად, მაინც ვცდილობთ გავატაროთ აღმშენებლობითი ხაზი ახალგაზრდობის მიმართ. ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობს ხელისუფლების სტრუქტურებში, კერძო ბიზნესის სფეროში, სპორტულ, კულტურულ და სხვა ორგანიზაციებში. ყველაზე მკაცრი ღონისძიებანი ხორციელდება ნარკომანიასთან და ჩვენში წინათ ისეთ არნახულ მოვლენასთან საბრძოლველად, როგორიც არის პროსტიტუცია. ხელმძღვანელობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, აღზარდოს ახალგაზრდობა, რომელსაც შეიძლება მშვიდად მიანდო უფროსი თაობის მონაპოვარი.

***— ეთანხმებით, თუ არა, უღიარებელ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პოლიტიკას, რომელსაც ატარებენ გაერო, ეუთო, მოწინავე ქვეყნები. ამ ორგანიზაციათაგან რომელს ანიჭებთ თქვენ უპირატესობას?***

– მოწესრიგება შეიძლება იყოს მხოლოდ მშვიდობიანი, ჩვენ უაღრესად მადლიერნი ვართ საერთაშორისო ორგანიზაციებისა მათი შუამავლური, მშვიდობისმყოფლური საქმიანობისათვის. ტრადიციულად ჩვენ ჩამოგვიყალიბდა კარგი ურთიერთობა ეუთოსთან, და იმედი გვაქვს მას კვლავაც განვავითარებთ. აღვნიშნავ, აგრეთვე, გაეროს ლტოლვილთა უზენაესი კომისრის საქართველოს, ჩემი აზრით, ეფექტიან მუშაობას.

***— რა მოელის სამხრეთ ოსეთს რუსეთის მშვიდობისმყოფელი ძალების გაყვანის შემდეგ?***

– აქ მე მინდა ყურადღება მივაპყრო აფხაზეთის პრეცედენტს. აშკარაა, რომ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, არ იჩქაროს მშვიდობისმყოფელთა ძალების გაყვანა. იგივე ხდება აქაც, მოდით, ჯერჯერობით შევეცადოთ დავამკვიდროთ ოს-ქართველთა უშიშროება. მერე კი ვნახოთ...

***— როგორ ეკიდება რეგიონი კავკასიის დერეფანს?***

– ჩვენ მივესალმებით ყველა ფორმის კომუნიკაციის განვითარებას. ეს აახლოებს ხალხებს და უაზროს ხდის ომებს. მე მახსოვს, როდესაც თბილისში ვიყავი, იანვარში, საქართველოს პრეზიდენტმა საზგასმით აღნიშნა: თუ ჭკვიანურად მოვეკიდებით ხელს ტრანსკავკასიის ავტომაგისტრალის გაყვანას, ეს ყველას უდიდეს სარგებლობას მოგვიტანსო.

***— რამდენადაც ვიცი, უნდა გაიმართოს ედუარდ შევარდნაძისა და ლუდვიგ ჩიბიროვის შეხვედრა. მზად თუ ხართ საამისოდ და რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენთვის ამ შეხვედრაში?***

– შეხვედრა აუცილებელია. იგი ნებისმიერ შემთხვევაში სასარგებლო იქნება და მე დარწმუნებული ვარ, ეს შეხვედრა ახალ იმპულსს მიანიჭებს კონფლიქტის მოწესრიგებას – სწორედ ეს არის მთავარი.

***— რას ფიქრობთ, დარჩებით ბოლომდე პოლიტიკურ ასპარეზზე?***

– ეს ჩემთვის გადაუწყვეტელი საკითხია. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია ლუდვიგ ჩიბიროვის აზრი.

***— ხომ არ შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი და ხალხის დამოკიდებულება საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის მიმართ?***

– მე ვიტყოდი, რომ ეთნიკური სიძულვილი, როგორც ასეთი, ჩვენში არც არასდროს ყოფილა – ამის დასტური გახლავთ თუნდაც ის, რომ ათასობით ქართველი დარჩა ჩვენს შორის საბრძოლო მოქმედების დროს. თუმცა ცალკეული ექსცესები მოხდა. მოგეხსენებათ, დრო ყველაფრის მკურნალია. და ოსებსა და ქართველებს შორის წინათ გაწყვეტილი კავშირი თანდათან უნდა აღდგეს.

რაც შეეხება საქართველოს ხელმძღვანელობას, მართალი გითხრათ, ამ მხრივ უფრო რთულად არის საქმე. ხალხმა იცის, რომ პრაქტიკულად არაფერი კეთდება დანგრეულის აღსადგენად, ბანკებიდან გადაცებული ფულის დასაბრუნებლად და ა.შ. როგორც ჩანს, საჭიროა კონკრეტული ხელშესახები საქმეები, რათა უნდობლობა გაცხრეს.

***— მე, როგორც ქალს, მაინტერესებს, იღებენ, თუ არა მონაწილეობას ქალები პარლამენტის საქმიანობაში. და საერთოდ, როგორია ქალის როლი მთავრობის გადაწყვეტილებებსა და მიმდინარე რეფორმებში?***

– ქალები პარლამენტში არიან, და ერთი მათგანი – ქალბატონი ცხოვრებოვა პრეზიდიუმის წევრია. სამხრეთ ოსეთის ფული ასევე მინდობილი აქვს ქალს – ფინანსთა მინისტრს ეველინა გაგლოევას, და უნდა ვაღიარო, საქმე კარგად მიგვიდის.

***— როგორ ხედავთ იჩქერიის ჩეჩენთა რესპუბლიკის პოლიტიკის მომავალს?***

– იმის შემდეგ, რაც მათ გადაიტანეს, ძნელია იქონიო ჩეჩენთა რუსეთში დაბრუნების იმედი...

***— რას იტყოდით დღეს რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე?***

– ჩვენ უკვე გავიარეთ დაქვეითების უმდაბლესი წერტილი და ახლა, მართალია, ნელა და გაჭირვებით, მაგრამ მაინც, წელში ვიმართებით. ცოტა ხნის წინათ ერთიორად გავზარდეთ ხელფასი და შემწეობა, რომელსაც რეგულარულად გავცემთ. გამოცოცხლდა მრეწველობა, დაიწყო ეკონომიკური რეფორმა. ჩვენ მტკიცედ მივიწევთ სტაბილიზაციისაკენ ძირითადი მიმართულებებით.

***— რა არის ბატონ კოსტა ძუგაევის ყველაზე დიდი სურვილი, ანდა, ნატვრა?***

– ფილოსოფოსობა მშვიდობიანი ცის ქვეშ, პოლიტიკური დაძაბულობისაგან დაშორებით... ოცნება ვის არ უყვარს!

ესაუბრა
**იზა ტიგიევა.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ზნეობა

# შალვა მარდი
# XX საუკუნის უბედურება
## ფსევდორელიგიური სექტა და სექსუალური მანიაკები



### რუსეთი და „აუმ-სენრიკო"

არსებობს ზარინის მიღების ასამდე ხერხი, და გაზეთების მტკიცებით, სწორედ რუსმა სპეციალისტებმა გააცნეს სექტის წევრებს ისინი. რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს სექტის დამაარსებლის მოძღვრების 30 ათასამდე მიმდევარი – სამჯერ მეტი, ვიდრე იაპონიაში. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა „აუმ-სენრიკოს" წევრთა მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების საზარელი შედეგები, რუსეთის ტერიტორიაზე აიკრძალა მისი საქმიანობა. ამასთან, გაუქმდა თავის დროზე დაწყებული სარეგისტრაციო მოწმობა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები სექტის ცალკეულ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, რომლებიც, როგორც გამოირკვა, სასტიკად ატყუებდნენ, ხოლო ზოგჯერ ხოცავდნენ წევრებს, რომლებიც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ან სექტიდან გასვლის სურვილს. განსაკუთრებით მკვეთრად ილაშქრებენ სექტანტების წინააღმდეგ „ტოტალიტარული სექტებისაგან ახალგაზრდობის დაცვის კომიტეტის" წევრები. ბრალდების მოწმეებად გამოვიდნენ ცნობილი სამუსიკო ჯგუფის მონაწილენი, რომლებსაც 1000-1000 დოლარს უხდიდნენ კონცერტში „აუმ-სენრიკოს" იდეების პროპაგანდისათვის. ის კი არა, მას საგანგებოდ მოუწყვეს საგასტროლო მოგზაურობა იაპონიაში, სადაც სექტის ლიდერის ასახარას სმენა უნდა დაეტკბოთ, ხოლო როდესაც მუსიკოსებმა განიზრახეს გაეწყვიტათ სექტანტებთან ურთიერთობა, მათ ისე სცემეს, რომ დაზარალებულნი იძულებული გახდნენ, პროკურატურისათვის მიემართათ. სასამართლომ სექტის წევრებს გადაახდევინა ათეული მილიონობით რუბლი კომპენსაცია დაზარალებულ მუსიკოსთა სასარგებლოდ და სასამართლო ხარჯების გასასტუმრებლად. თავში არავის მოსვლია აზრად, დაინტერესებულიყო, საიდან ჰქონდათ რუსეთში მცხოვრებ სექტის უმუშევარ წევრებს ამდენი ფული. ეგებ, შემთხვევით არ იყო, რომ პრეზიდენტის უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი წევრი მხარში ედგა გურუ ასახარას – როგორც მოსკოვში, ისე თვით იაპონიაში? ამ მაღალი მფარველობის შედეგი აშკარაა – სექტის მოსკოვის განყოფილებას გადაეცა უნივერსიტეტის შენობა პეტროვკაზე. იყენებდა რა მჭიდრო ურთიერთობას რუსეთის მთავრობის დაახლოებულ პირებთან, „აუმ-სენრიკო" თავის ბოევიკებს საწვრთნელად გზავნიდა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმში – „სპეცნაზში". იაპონიის გაზეთი „კიოდო" იუწყებოდა, რომ სექტის ეგრეთ წოდებული „მრეწველობისა და მშენებლობის მინისტრი იოჰიდო აიაკავა, რომელიც სექტაში შეიარაღების საკითხებს განაგებდა, 1992-1995 წლებში ოთხჯერ იყო რუსეთში, რათა იქ შეესყიდა შვეულმფრენები და „პროტონ" რაკეტები. დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ ისინი აპირებდნენ ამ რაკეტების გამოყენებას თანამგზავრების გასაშვებად. თუმცა, არ დაუზუსტებია, რა მიზნით.

რუსეთში გამოქვეყნდა ცნობა, რომ „აუმ-სენრიკოს" ჯერ კიდევ 1992 წელს ჰქონდა ფართო საფინანსო და უაღრესად მეგობრული ურთიერთობა რუსეთის მთავრობასთან და პრესასთან. სექტის ხელმძღვანელი ასახარა არაერთგზის შეხვედრია რუსეთის პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს რუსლან ხასბულატოვს, შემდეგ კი თვით რუსეთის პრეზიდენტის აპარატის ზოგიერთ თანამშრომელს, მეგობრული კონტრაქტები ჰქონდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანთან ოლეგ ლობოვთან. მათი ერთობლივი ფოტოსურათები ქვეყნდებოდა მოსკოვის ცენტრალურ გაზეთებში.

რუსეთის რადიოსადგური „მაიაკი" 1992 წლის სექტემბრიდან ყოველდღიურად გადასცემდა ვლადივოსტოკის მეშვეობით მთელს იაპონიას ამ საქმიანობის შესახებ, ამასთან იღებდა ყოველწლიურად 800.000 დოლარს. ეს აღიარა რადიოსადგურის დირექტორმა ვლადიმერ პოვოლიაევმა. კომერციული თვალსაზრისით, სექტისათვის ამ ხელსაყრელი გადაცემის მეშვეობით ასახარა შოულობდა მომხრეებს შეძლებულ ადამიანთა შორის, არა მარტო იაპონიაში, არამედ თვით რუსეთშიც.

მოსკოვის სასამართლომ იცოდა, რომ რუსეთის ხელისუფალთ უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა „აუმ-სენრიკოს" სექტასთან. ამიტომ, რათა სკანდალი მთელ მსოფლიოში არ გახმაურებულიყო და ყველას არ გაეგო, რომ მასობრივი მოსპობის ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შემმუშავებელ სექტანტთა ზურგს უკან სწორედ რუსი მეცნიერები დგანან, გამოიტანა გადაწყვეტილება, აეკრძალათ რუსეთის ტერიტორიაზე ამ სექტის საქმიანობა, ხოლო მისი საბანკო ანგარიშები გაეყინათ. მარტო მოსკოვში რეგისტრირებული იყო ფართო მასშტაბის ექვსი სექტანტური ფილიალი. მოსკოვის ხელისუფალთ დააყარეს მუქარის წერილები – თუ ამ გადაწყვეტილებას არ გააუქმებთ, ზარინით დავწამლავთო მთელ მოსკოვს. ამიტომ ხელისუფალნი იძულებული გახდნენ დაერაზმათ სპეცსამსახურების თანამშრომელთა დამატებითი კონტინგენტები, რათა თვალი ედევნებინათ სექტის საქმიანობისათვის.

* * *

როგორც იაპონიის პოლიციური წყაროები იუწყებიან, ინტენსიური სამედიცინო ჩარევის შემდეგ შესაძლებელი გახდა, ღრმა ჰიპნოზური მდგომარეობიდან გამოეყვანათ „აუმ-სენრიკოს" ერთ-ერთი დაპატიმრებული წევრი, რომელმაც აღიარა, რომ სამი წლის წინათ სექტის წევრებმა მოიტაცეს ადვოკატი ცუცუმი სიკამოტო, მისი ცოლი და ერთი წლის შვილი. ეს უქნიათ სექტის თავკაცის სეკო ასახარას ბრძანებით. მოტაცებული დედ-მამა და ბავშვი მხეცურად მოუკლავთ ასახარას თანდასწრებით. მათი გვამები დაუჩეხავთ და დაუფლავთ მთის ფერდობზე. სიკამოტო ცნობილი იყო თავისი პატიოსნებით, მოუსყიდველობით და არაერთგზის გამოსულა „აუმ-სენრიკოს" დანაშაულებრივი საქმიანობის მხილებებით.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ.**

(გაგრძელება — ყოველი კვირის ნომერში).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 155, 161, 178, 185, 192, 199, 207, 213, 223.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეკონომიკური კავშირები

# „ევრაზიის დერეფანი“ ევროპისკენ მიიწევს

## „ტრასეკადან“ – „პეტრამდე“ შავი ზღვის გავლით

***— ბატონო იკრამ, შეგახსენებთ, რომ შარშან საქართველოს პრეზიდენტის აზერბაიჯანში ვიზიტის დროს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, — „ევრაზიის დერეფნის“ ფოთი-ბაქოს მაგისტრალი უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი თავისი ინფრასტრუქტურით, სამართლებრივი ბაზით, სატარიფო და სასაზღვრო სისტემებით და ა.შ. ცხადია, ეს გადაწყვეტდა ბევრ პრობლემას, რომელიც დღეს გვაწუხებს.***

— „ტრასეკას“ პროგრამით ორივე ქვეყანას გათვალისწინებული გვაქვს ერთობლივი საწარმოების შექმნა. ერთ-ერთი ასეთი საწარმო იქნება ფოთი-ბაქოს მონაკვეთის ერთობლივი სერვისული მომსახურების სამსახური. ახლა თითქმის 20 პროექტს ვამუშავებთ, მათ შორის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზების თანამშრომლობას... ჩვენს ქვეყნებს კარგი პერსპექტივა აქვთ, ოღონდ ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ფუჭად არ დავკარგოთ დრო და ყოველდღიური, მიზანმიმართული საქმიანობით განვახორციელოთ ჩვენი პრეზიდენტების მიერ დასახული პროგრამა. შევქმნათ ტრანსკონტინენტური — „ევრაზიის დერეფნის“ ინფრასტრუქტურა, რომელშიც ფოთი-ბაქოს მაგისტრალი პრიორიტეტულ ადგილს დაიკავებს.

**კონფერენციის** პირველივე დღიდან დიდი დატვირთვა ჰქონდა საქართველოს ტრანსპორტის მინისტრს მერაბ ადეიშვილს, რომელიც პლენარულ სხდომებს უძღვებოდა. მის გამოსვლაში განსაკუთრებით გაიჟღერა საქართველოს ინიციატივამ ე.წ. ოთხთა ხელშეკრულების ბაზაზე — (რომელსაც შემდგომ შეუერთდნენ ბულგარეთი და ყირგიზეთი) განიხილონ და მიიღონ მრავალმხრივი შეთანხმება საერთაშორისო ტრანსპორტის შესახებ, რომელსაც შეუერთდებიან, როგორც „ტრასეკას“ მონაწილე, აგრეთვე სხვა დაინტერესებული ქვეყნები.

ბატონმა მერაბმა აღნიშნა, რომ ეს პროექტი, რომელიც შემუშავებულია ევროპელი ექსპერტების მიერ სირახის შეთანხმების საფუძველზე, დღევანდელი დღის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რომელიც შექმნის სამართლებრივ ბაზას ფართო საერთაშორისო სატრანსპორტო თანამშრომლობისათვის. გამოსვლაში კიდევ ბევრი საინტერესო პრობლემა იყო წარმოჩენილი. ამიტომაც ვთხოვე ბატონ მერაბს ყურადღება გაემახვილებინა საკითხის ყველაზე აქტუალურ ასპექტებზე:

— უწინარეს ყოვლისა, მინდა ხაზი გავუსვა თავად კონფერენციის გამართვის იდეას – იგი პრაქტიკულად განხორციელდა საქართველოსა და ბულგარეთის ერთობლივი ინიციატივით და ისახავდა „ევრაზიული დერეფნის“ დაკავშირებას ევროპისა და აზიის დერეფნებთან, ამ შემთხვევაში ტრანსევროპულ მერვე დერეფანთან, რომელიც გადის დურასიდან-ბურგასამდე და მოიცავს ალბანეთს, მაკედონიას, ბულგარეთს... მათ სურთ განავითარონ იგი აზიისაკენ ამიერკავკასიის დერეფნის გავლით. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ზემოჩამოთვლილ სამი ქვეყნის გვერდით, აქ მონაწილეობდნენ თურქეთი, იტალია, საბერძნეთი, აღმოსავლეთიდან – ცენტრალური აზიის ქვეყნები და, რა თქმა უნდა, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი.

აბსოლუტურად კონკრეტული ამოცანა იდგა... მივიღეთ ერთობ საინტერესო მემორანდუმი, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუ როგორ განხორციელდება ტრანსკონტინენტური თანამშრომლობის მთელი პროცესი, დაფიქსირებულია ინტერესთა თანხვედრა. ამასთან, გამოქვეყნდა ძალზე საინტერესო მიმართვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და კერძო ინვესტორებისადმი. დერეფანს, რომელზეც გვაქვს საუბარი, ამ კონფერენციაზე დაერქვა „ტრანსკონტინენტური დერეფანი“, რაც ახალი ტერმინია და, ვფიქრობ, უდავოდ დაიმკვიდრებს ადგილს. რაც შეეხება ტრანსრეგიონულ პროექტებს, ჩვენ უკვე გვაქვს ამის გამოცდილება. მაგალითად, ფოთი-ილიჩოვსკის საბორნე გადასასვლელი სწორედ ამ ნიშნით ხორციელდება, ასეთივე ნიშნით ხდება თურქმენბაშის ნავსადგურის გაფართოება, ბუხარის ბამბის ტერმინალის მშენებლობა და სხვა. ასეთივე ტრანსრეგიონული პროექტით იქმნება სარკინიგზო და საკონტეინერო საბორნე გადასასვლელი ფოთი-ვარნის მიმართულებით. ამასთან, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ აგრეთვე ე.წ. მეოთხე სახმელეთო დერეფნის განვითარებაზე. თურქეთის ტრანსპორტის მინისტრთან უკვე შევთანხმდით იმაზე, რომ სწორედ მეოთხე დერეფნის ამიერკავკასიის დერეფანთან ინტეგრაციის საკითხებს ცალკე კონფერენციაზე განვიხილავთ.

ამთავითვე უნდა გითხრათ, რომ საქართველოს ამოცანა არ არის ერთი მიმართულებით კონცენტრირება. ჩვენ ერთდროულად ოთხ დერეფანს შევუერთდებით. ეს იქნება უკრაინის მიმართულება, რომელიც დაიწყო და ვითარდება, ასევეა ბულგარეთის მიმართულება. მეოთხე დერეფნის შესახებ უკვე მოგახსენეთ, რჩება ე.წ. მეშვიდე ევროპული დერეფანი, რომელიც დუნაიზე გადის კონსტანცის მიმართულებით. სულ მალე სწორედ ამ დერეფნის შესახებ მოვაწყობთ შეხვედრას ფოთში, სადაც, როგორც ტელეფონით მაცნობეს, უკვე ჩასულია რუმინელთა წარმომადგენლობითი დელეგაცია.

რას მოგვცემს ასეთი ინტეგრაცია? თუ ასეთი ინტერესების კონცენტრაციას მოვახდენთ პანევროპული არეალის – ე.წ. „პეტრას“ ფარგლებში, და დავასაბუთებთ, რომ „ტრასეკას“ დერეფანი არის ამ დერეფნების ლოგიკური გაგრძელება, ჩვენ მივიღებთ სრულიად ახალ საინვესტიციო გარემოს. ჩვენ „ტრასეკას“ ფარგლებში შეიძლება მივიღოთ 10, 20, 30 მილიონის ინვესტიციები, მაშინ, როცა მარტო ერთი პრიორიტეტული დერეფნის – ბერლინი-მოსკოვის რკინიგზის დაფინანსებაზე ევროგაერთიანებამ 200 მილიონი ეკიუ გამოყო. ვფიქრობ, დააკვირდებით მასშტაბებსაც და იმ პოლიტიკასაც, რომელსაც ვახორციელებთ ამ მიმართულებით.

ძალიან საინტერესო იყო მსჯელობა სანავთობო ტვირთების ბურგასის მიმართულებით გადატანის შესახებ, რომელიც დასვა ყაზახეთის მხარემ. აღმოსავლეთის ქვეყნების შავ ზღვაზე გასვლის პრობლემა დღეს ფოთსა და ბათუმში უკვე დაფიქსირებულია. ახლა მთავარია, იგი ევროპის ნაპირებისაკენ გავიდეს. ამ საქმის რეალიზაცია უკვე დაწყებულია და მოკლე ხანში სხვა მასშტაბს მიიღებს. აი, მაგალითად, ბურგასი. დღეს ამ მიმართულებით ორი ბორანი მუშაობს: ბურგასი-ფოთი და ბურგასი-ფოთი-ნოვოროსიისკი. სულ მალე სატრანსპორტო კომპანია „ექსიმი“ და კორპორაცია „სომატ-ვილობეცი“ საკონტეინერო ხაზსაც გახსნიან. ამასთან ერთად უკვე დაიწყო მუშაობა დუნაის მიმართულებით, სადაც „მდინარე-ზღვის“ ტიპის როლო-ხომალდები ივლიან. გაიხსნება ბათუმი-ვარნას საკონტეინერო ხაზი. თურქეთის მინისტრთან შევთანხმდით, რომ განვითარდება საბორნე ხაზები სამსუნ-ბათუმისა და ფოთის მიმართულებით.

ასე რომ, ე.წ. „საბორნე პოლიტიკა“ ჩვენს პორტებში უკვე კონკრეტულ სახეს იღებს და აქტიურად მუშაობს მომავალი ინტეგრაციისათვის. შავი ზღვის ტრავერსი, მოგეხსენებათ, გემებისათვის გრძელ გზად არ ითვლება. იყო დრო, როცა ზღვა ყოფდა ქვეყნებს, მაგრამ დღეს იგი მათ აერთიანებს.

ამასთან ვიტყვი, რომ „ტრასეკას“ პროექტი ითვალისწინებს ფოთი-ბაქოს ერთიანი სივრცის ჩამოყალიბებასაც. მართლაც ამ მიმართულებით თუ არ გავაკეთეთ გამჭოლი ტარიფები, თუ არ გავიადვილეთ სასაზღვრო გადასასვლელები (შესაძლოა იქამდეც მივიდეთ, რომ ერთობლივი სასაზღვრო გადასასვლელებიც შევქმნათ) გაგვიჭირდება ამ დერეფნის ამოქმედება, რადგან დღეს იმდენი სასაზღვრო გადასასვლელია, იმდენ ფორმალობებთან არის ყველაფერი დაკავშირებული, რომ ძალიან დიდი დრო იკარგება... აღარაფერს ვიტყვი გადასახადებზე. ეს ერთი გზა უნდა იყოს. არა მარტო ფოთი-ბაქოს მიმართულება უნდა იყოს პრიორიტეტული, არამედ ფოთი-ტაშკენტის მიმართულებაც, მაგრამ ეს უკვე შემდგომი ეტაპი იქნება. ამას ითვალისწინებს „ტრასეკას“ პროექტიც. აი, მაგალითად, უკვე მოძრაობს საკონტეინერო მატარებელი „ლოგისტიკ ექსპრესი“, რომელიც დაუბრკოლებლივ უნდა ჩავიდეს ფოთიდან ტაშკენტამდე. ეს უნდა იყოს შეტანილი მსოფლიო კატალოგებში, რათა ტვირთგადამტანმა იცოდეს, როგორ გაივლის მისი ტვირთი ამ გზას. ჩვენ სწორედ აქეთკენ მივდივართ. ამ საქმეში მასმედიას დიდი როლის შესრულება შეუძლია, განსაკუთრებით ვუმადლით „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელსაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ამ თემაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებისათვის, რაც ძალიან დაეხმარა ამ „დერეფნის“ განვითარების იდეას და მის პრაქტიკულ განხორციელებას. მჯერა, რომ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მომავალშიც ასევე აქტიურად გააგრძელებს ამ თემას და ერთობლივად უფრო სწრაფად და მარტივად გადავწყვეტთ „ტრანსკონტინენტური დერეფნის“ ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს.

როგორც ხედავთ, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მართლაც ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა „ევრაზიის დერეფნის“ დასამკვიდრებლად, დღეს უკვე ყველა მისკენ მოისწრაფის, რადგან იგი ყველაზე მომგებიანია, როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნებისათვის.



**კონფერენციაზე** კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემაზე იყო საუბარი. ერთ-ერთი პრიორიტეტული მათ შორის გახლდათ ავტომაგისტრალებზე, მათ შორის ჩვენს გზებზე, ტვირთების უსაფრთხო გადაადგილების, დარღვევებისა და გამოძალვების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, რის თაობაზეც ხშირად წერს ჩვენი გაზეთი.

სხვათა შორის, მეტად სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ ის, როცა კორპორაცია „სომიტის“ წარმომადგენელმა ივანე პოპოვმა დიდი პატივისცემით მოიხსენია „საქართველოს რესპუბლიკაც“ და საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებიც, რომლებმაც უკანასკნელ წლებში მართლაც ბევრი რამ გააკეთეს „ევრაზიის დერეფნის“ საქართველოს გზის მონაკვეთზე წესრიგის უზრუნველყოფის დარგში. იყო კრიტიკაც, რომელიც შეეხებოდა ჩვენს საბაჟოებსა და სასაზღვრო პუნქტებში, აგრეთვე, გზებზე ჯერ კიდევ არსებულ დარღვევებს. მაგრამ ამაზეც და ზოგიერთი ჩვენი „წესრიგის დამცველის“ რეაქციაზეც უახლოეს დღეებში მოგითხრობთ.

**გია ჭელიძე,**
„სრ“ სპეც. კორ.

ბურგასი-თბილისი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №229.

**საწარმოების, ფირმებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელებო!**

ვისაც გსურთ, სწრაფად, იაფად და უსაფრთხოდ გაიტანოთ ტვირთები ან შემოიტანოთ პროდუქცია რუსეთიდან

ისარგებლეთ ქართულ-ბულგარული ერთობლივი სატრანსპორტო კომპანიის — „ექსიმის“ ახლადგახსნილი რეგულარული საბორნო-საზღვაო მარშრუტით:

**ფოთი — ნოვოროსიისკი — ბურგასი**

გასვლა: ყოველ პარასკევს.
შემოსვლა: ყოველ სამშაბათს, ფოთის ნავსადგურში.
ტარიფები: ოთხჯერ ნაკლები იმაზე, რაც ჯდება კონტეინერით ან ავტოტრალერით ტვირთის გადატანა სახმელეთო გზით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: ფოთი, სატრანსპორტო კომპანია „ექსიმი“... ტელეფონები: 2-08-55; ფაქსი 2-08-60.

**ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!**

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

ცხენოსნობა

# ენთუზიასტთა დახმარებით

აგვისტოს მიწურულს აბაშაში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მხედრებმა. მათ საერთო გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს სენაკელების შემდეგ. ფოთელი ცხენოსნები მეორე ადგილზე გავიდნენ ცხენბურთსა და ისინდშიც. ეს წარმატება არ ყოფილა შემთხვევითი, რადგან ამ ზღვისპირა ქალაქში ჯეროვან ყურადღებას აქცევენ ცხენოსნობის განვითარებას.



– წლეულს გაზაფხულზე მწყობრში ჩადგა განახლებული იპოდრომი, სადაც მაისში საქართველოს პირველობა ჩატარდა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში, სექტემბრის მესამე დეკადაში კი ეროვნულ ჩემპიონატსაც ვუმასპინძლებთ, – გვითხრა ფოთის საცხენოსნო ბაზისა და სკოლის დირექტორმა **ვალერიან მაქაცარიამ**, – რადგან იპოდრომზე დავიწყეთ საუბარი, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ შევაკეთეთ 20 თავლა, მათ შორის 10 – საზაფხულო. მართალია, კლასიკურ სახეობებში შეჯიბრების ჩასატარებელი ადგილი კეთილმოეწყო, შემოკავდა სახტომი მოედანი, დაიდგა ახალი წინაღობები, გაკეთდა ტრიბუნა 500-მდე დასაჯდომი ადგილით, მაგრამ იპოდრომის დანარჩენი ადგილი მოსაზვინია, გასაკეთებელია 1400-მეტრიანი სადოღე წრე. ახლანდელი რვაასმეტრიანი წრე სავარჯიშოდ არის გამიზნული და შეჯიბრებების ჩასატარებლად უვარგისია, რადგან წმინდასისხლიანი ცხენებით ასპარეზობისას დიდია ტრავმების საშიშროება.

— *ახალგაზრდები თუ ეტანებიან ცხენოსნობას?*

– როგორ არა. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს იგრძნობა მსურველთა დიდი მოზღვავება, მაგრამ ცხენების შეზღუდული რაოდენობა გვყავს და ყველას ვერ ვაკმაყოფილებთ. ჩვენი ბიჭები წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. მაგალითად, გოჩა ჯალალონიამ წლეულს თბილისში ვამეხ გაჩეჩილაძის ხსოვნის პრიზზე ძალისმიერ ხტომებში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო დაბრკოლებათა გადალახვაში მესამე იყო.

რაც შეეხება ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებს, აქ უმთავრესად ენთუზიასტების იმედად ვართ, რადგან ჯერჯერობით გვიჭირს ცხენების შენახვა. ტერიტორია კი გაგვაჩნია და თივას ჩვენვე ვამზადებთ, მაგრამ შვრიას ვერ ვშოულობთ და სანაცვლოდ სიმინდს ვყიდულობთ, რაც ძვირი გვიჯდება. ბაზის მომსახურე პერსონალს ხელფასებიც მცირე აქვს, ამის მიუხედავად, სულსა და გულს აქსოვენ საქმეში. მათი ენთუზიაზმი იმის მაუწყებელია, რომ ცხენოსნობის მდიდარი ტრადიციები ფოთში არ დაიკარგა, მით უმეტეს, ქალაქის მერია და სპორტკომიტეტი ფინანსურ დახმარებას და ხელშეწყობას გვპირდებიან.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**
„სრ“ სპეც.კორ.
ფოთი.

**სურათზე:** დაბრკოლებზე — გოჩა კვარაცხელია.

პარლამენტარი და სპორტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ცხოვრების** რიტმი, მოგეხსენებათ, ერთობ დაძაბული გვაქვს, სულ დაკავებული ვართ, სულ სადღაც მიგვეჩქარება...

პარლამენტის ვესტიბიულში სწრაფად მიმავალი აკადემიკოსი თენგიზ ონიანი მობოდიშებით შევაჩერე, და თუმცა, თურმე მართლაც ეჩქარებოდა, „საქართველოს რესპუბლიკა“ რომ ვუხსენე, საუბარზე უარი აღარ უთქვამს...

**თენგიზ ონიანი:** 69 წლისა, საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი — ასეთია ჩემი თანამოსაუბრის „სადარბაზო ბარათი“.

# „ალმართის ავლა არც ახლა მიჭირს“

— *ბატონო თენგიზ, თუ შეიძლება, გაიხსენეთ თქვენი სპორტული სიჭაბუკე.*

– საშუალო სკოლა ლენტეხში, სოფელ ქახუნდელში დავამთავრე. ღონიერი და მარდი ვიყავი, მოწაფეობისას ქართული ჭიდაობაც კარგად გამომდიოდა და სიგრძეზე ხტომაც... ფიზკულტურის ინსტიტუტში შევედი, პირველი კურსი „ფრიადებით“ დავხურე - თეორიულ საგნებში, პრაქტიკულ მეცადინეობებში. ჭიდაობაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შევასრულე. გაგიკვირდებათ, სად ჭიდაობა და სად ტანვარჯიშიო, მაგრამ მეორე თანრიგის ტანმოვარჯიშეც გახლდით. ზაფხულში ივანოვოში უნდა წავსულიყავი საკავშირო შეჯიბრებებზე, მაგრამ ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის დაუკითხავად უნივერსიტეტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე გამოცდები, სპორტს სულ შევეშვი და მთლიანად სწავლას მივეცი თავი...

— *ამ „მთლიანად სწავლიდან“ გამოვიდა გამოჩენილი ფიზიოლოგი... ახლა რა ადგილი უჭირავს სპორტს აკადემიკოს თენგიზ ონიანის ცხოვრებაში?*

– აღარ ვვარჯიშობ, მაგრამ ფიზიკური შრომა განუყოფელია ჩემს ყოფასთან. სანამ არეულობა დაიწყებოდა, ყოველ ზაფხულს ოჯახი ლენტეხში დამყავდა, ყანას, ბოსტანს ვამუშავებდით, შემოდგომაზე გვარიან მოსავალს ვიღებდით. 8 წელიწადია, ველარ დავდივართ, მაგრამ თბილისში ნიკო კეცხოველისეულ ბაღს მოუვლელს როგორ დავტოვებ, ისევ ბევრს ვშრომობ ფიზიკურად (ჩვენი დიდი ბოტანიკოსი, დაუვიწყარი ბატონი ნიკო სიმამრი ბრძანდებოდა თენგიზ ონიანისა – თ. ე.) სვანური სისხლია თუ რა არის, ალმართის ავლა ახლაც არ მიჭირს.

— *შვილები როგორღა ეწყობოდნენ სპორტს?*

– ბიჭი სკოლაში კარგი კალათბურთელი გახლდათ, 188 სანტიმეტრი სიმაღლისაა. უნივერსიტეტში რაგბიზე გადაერთო, ნაკრებშიც შეიყვანეს. მე ყოველნაირად შევუწყე ხელი, რომ... პროფესიონალი სპორტსმენი არ გამხდარიყო (ეს „ბიჭი“ – ნიკოლოზ ონიანი, ახლა პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი კომისიის აპარატის უფროსია – თ. ე.).

გოგონა პატარაობისას სპორტულ ტანვარჯიშში თბილისის ჩემპიონი გახდა თავის ასაკში; არც მას დავანებე, რომ პროფესიულად გაჰყოლოდა სპორტს („გოგონა“ – ლელა ონიანი, რადიობიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი გახლავთ – თ. ე.).

— *სპორტის ყურება და სპორტზე კითხვა გიყვართ?*

– სტუდენტობისას სპორტზე ვწერდი კიდევაც, „ლელოში“ ვიბეჭდებოდი. ცქერას რაც შეეხება, ადრე ფეხბურთსა და კალათბურთს ვარჩევდი, ახლა ჩოგბურთს ვუყურებ დიდი გატაცებით.

— *თქვენი დამოკიდებულება სიგარეტსა და ალკოჰოლთან?*

– ჩემი ცხოვრების მანძილზე საკმაოდ მქონდა „პირობები“, რომ ერთსაც მივჩვეოდი და მეორესაც, მაგრამ ეტყობა, გენეტიკური ფაქტორის გამო, არც ერთი მოხდა და არც მეორე; თუმცა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, კახელები რომ ამბობენ, კარგი ღვინის ჩაგემოვნებაზე. მეორე ფაქტორიც არსებობს: როგორც ნეირობიოლოგი, მეცნიერულ პროგრამას ვამუშავებ ტოქსიკომანიის საკითხებზე. ყველას ვურჩევ, რომ პირველ რიგში თამბაქოს მოწევას შეეშვან (ჯანმრთელობისათვის ყველაზე მავნე, ორგანიზმის თანდათანობით დამღუპველი, სწორედ ნიკოტინი გახლავთ); მეორე რიგში – გადაჭარბებულ სმას; ხოლო ნარკოტიკების მიღებაზე საერთოდ ნუ იფიქრებენ. გახსოვდეთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ეს სპეციალისტის რჩევაა!

ასე ძალიან რატომ მომრავლდა ჩვენში სიგარეტი? იმიტომ, რომ უცხოეთში - ამერიკასა თუ ევროპაში – მოწევას ფაქტობრივად თავი დაანებეს და თამბაქოს მთელი ნაწარმი ჩვენ მოგვაწყდა, მეტადრე „ელიტარული“ საგარეტი – „მარლბორო“ და „კენტი“.

— *ბატონო თენგიზ, ბოლო „თემად“ პოლიტიკასა და სპორტს გთავაზობთ.*

– ამ თემაზე სპეციალურად არ მიფიქრია, ჩემი აზროვნების წყობით არცა ვარ მასზე მორგებული. სახელდახელოდ შემიძლია შევნიშნო, რომ სპორტს არ უნდა ჰქონდეს ადგილი პოლიტიკაში, ისე როგორც საპოლიტიკე არ არის, მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელსაც წარმოვადგენ. ჩემთვის სპორტის პოლიტიზება მიუღებელია და არასასიამოვნოც.

სპორტი მაინტერესებს, როგორც ადამიანის ფიზიკური განვითარების ასპარეზი, როგორც ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების საწყაო. სპორტში ყოველგვარი წარმატება ადამიანის თვალსაზრისით მიზიდავს და არა პოლიტიკური ან ეროვნული ნიშნით. რა თქმა უნდა, ქართველი კაცის სპორტული მიღწევები ყოველთვის გამახარებს, მაგრამ ეს გულის სიხარულია და არა გონებისა...

ასეთი სიხარულიც ნუ მოჰკლებოდეს ბატონ თენგიზს!...

**თამაზ ებანოიძე.**

ტრადიცია

# აღვადგინოთ „თავ-გამოჩენილთა თამაშები!“

საერთაშორისო სპორტულ სამყაროში ყველაზე გრანდიოზულ ასპარეზობად მიჩნეულია ოლიმპიური თამაშები.

აი, რას გვამცნობს ოლიმპიადების შესახებ ჩვენი ქართული მატიანე: „უწინ, ძველის ძველად ბევრ ნაირი საგმირო ვარჯისები (ვარჯიშები) იყო ჩვენს სამესხო საქართველოში, რომელთ უმეტესი ნაწილი დღესაც არის დაშთენილი, უფრო სამესხეთოს ერობაში. არგონავოსანთ შემოსვლისას კოლხიდაში 1260 წლის წინ ქრისტეშედ განითქვა ბერძნული ვარჯიშობა, იაზონის თანხლებული გმირებისაგან დაშთენილი; იმ დროს ხმარებულს ბერძნების საგმირო ვარჯიშებში პირველი იყო „არგიული“, რომელიც შემოვიდა კოლხიდაში, მეორე – „ისტიმიური“, მესამე – „ბიეთიური“, მეოთხე – „ნეემიური“. ეს ვარჯიშები შემდგომში ელისელმა იმიტომ გარდააკეთა „ოლიმპიურ“ ვარჯიშად, ოლიმპიის ქალაქის მახლობლად 888 წლის წინათ ქრისტ. და ამისთვის მიიღო ოლიმპიადის წოდება. მით მისი ქორონიკონი დაწესდა 776 წლის წინ ქრისტეზედ“.

ეს ლეგენდაა! დიდებული ქართული სპორტის ლეგენდა, რომელიც ანტიკურ ოლიმპიურ მოძრაობას უკავშირდება.

„მესხური თამაშების“ შესახებ ჩვენ არაერთი რამ გვსმენია. ჩვენი უძველესი „მესხური თამაშები“, ბერძნული ოლიმპიადების მსგავსად, ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა.

ე. წ. ფინალურ შეჯიბრებას „მესხურ თამაშებში“ წინ უსწრებდა გენერალური რეპეტიციის მსგავსი ასპარეზობა – „საშინაო შეჯიბრება“, რომელიც მესამე წელიწადს იმართებოდა ყოველთვის.

რა დროს იმართებოდა „მესხური თამაშები?“ როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ეს პირველობები ყველიერის დროს ეწყობოდა (ყველიერი არის ადრეულ გაზაფხულზე, დიდი მარხვის წინ და ერთი კვირა გრძელდება.

საინტერესოა, სად იყო მოწყობილი მესხური თამაშების მთავარი სარბიელი!

ისევე, როგორც საბერძნეთში, ოლიმპოს მთის მიდამოებში ჩაეყარა საფუძველი ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებს, საქართველოშიც „მესხური თამაშები“ ვანის მთის მიდამოებში, უფრო ზუსტად, ცხრაწყაროს ველზე ჩაისახა. სწორედ ცხრაწყაროზე იმართებოდა თურმე ყოველ ოთხ წელიწადში „საქვეყნო ოლიმპიური თავ-გამოჩენილი ვარჯიში!“, გვამცნობს მემატიანე.

მაინც რა „სავაჟკაცო საქმენი“, დღევანდელი ტერმინით სპორტის რომელი სახეობები შედიოდა „მესხურ თამაშებში?“

დავასახელებთ რამდენიმე მათგანს: ჭიდაობა (ადრე რკენობა ერქვა – გ. ბ.), ქვის სროლა ფიქალისა, ბურთობანი, რბევა სარბიელზედ ქვეითად, ცხენებით თუ ეტლებით, მჯილით ბრძოლა (კრივს მოგვაგონებს – გ. ბ.), კუნძის თრევა, მძიმე ნივთების აწევა, ხტომა, მხარდავერდა (ლახტს წააგავს – გ. ბ.) და ა. შ.

ქრისტიანობამდე, ე. ი. წარმართულ ხანაში თითოეულ „სავაჟკაცო საქმეს“ ანუ თითოეულ ვარჯიშს და მოვარჯიშეებს ცხრაწყაროს ველზე საკუთარი წყალი ჰქონდათ თურმე სასმელად...

გამარჯვებულს ჩვენშიც დაფნის გვირგვინით აჯილდოებდნენ. თუმცა, ყოფილა ძეწნის და ფიჭვის ტოტებისაგან დამზადებული გვირგვინებიც.

საინტერესოა, რომ მესხეთში არის ადგილები (ტოპონიმები), რომლებსაც „სპორტული“ წარმოშობა აქვთ, მაგალითად სოფელი ერკოტა. ეს სახელი ნიშნავს – ერის კოტაობას, ანუ ვარჯიშს, კეჭნაობას...

სერგეი მესხის (1844-1883) გაზეთ „დროებაში“ ქართულ ოლიმპიურ თამაშებზე“ – საგმირო სამამაცო ზნეობებზე ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის „ვინმე მესხი“. ამ ფსევდონიმით „დროებაში“ და არა მარტო „დროებაში“ აქვეყნებდა წერილებს ცნობილი მწერალი და ისტორიკოსი ივანე პავლეს ძე გვარამაძე (1831-1912).

სწორედ ივანე გვარამაძის გამოკვლევების მიხედვით მოვამზადეთ ეს წერილი, რომლითაც არა მარტო ძველის გახსენება, ჩვენი ერის უმდიდრესი ისტორიული წარსულის ერთი ფურცლის კიდევ ერთხელ გამომზეურება გვსურს, არამედ გვაქვს წინადადებაც, დიდი სურვილიც იმისა, რომ აღდგეს „მესხური თამაშები“, რა თქმა უნდა, თანამედროვე თვალთახედვით, სადაც მზად ვართ ჩვენც აქტიურად გავისარჯოთ...

იმ ძირძველ ქართულ მიწაზე, სადაც ანტიკურ ხანაში ჩვენი წინაპრები თანამედროვე ოლიმპიადის მსგავს ასპარეზობებს მართავდნენ, ვთქვათ, ქალაქ ახალციხეში, მოვაწყოთ საქართველოს ეროვნული სპორტული თამაშები. რა არის აქ წარმოუდგენელი? ვფიქრობთ, არაფერი. ახალციხე ამ თამაშებისათვის დიდებული ადგილი იქნება. ამით გავაცოცხლებთ ისტორიულ წარსულს და ქართული სპორტის ტაძარშიც ავანთებთ ერთ სანთელს.

**გაბრიელ ბარჯაძე.**

**სურათებზე:** საქართველოს ისტორიისა და კულტურის დიდი მოამაგის, XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის დონ ქრისტოფორო დე კასტელის გრაფიკული ჩანახატები „ცხენბურთი“ და „ყაბახი“.





## კროსვორდი



თარაზულად: 8. ძველი საბერძნეთის სოფელი, საიდანაც სირბილით მივიდა მახარობელი ათენში და მიიტანა სპარსელებზე გამარჯვების ამბავი; 9. ფერების შეხამება, შეხამების თავისებურება ცალკეულ ნახატში ან, საერთოდ მხატვრის შემოქმედებაში; 11. ბურთულებად გაკეთებული წამალი; 12. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება; 13. წარმართული ღვთაების ქანდაკება, რომელსაც თაყვანს სცემენ; 14. ინდოელი კინორეჟისორი; 15. ხელმძღვანელი, უფროსი; 16. ამერიკელი კინომსახიობი; 19. მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში; 21. წერილობითი თხოვნა, საჩივარი (ძველად); 23. ქალის სამკაულები; 24. სახელმწიფო აფრიკაში; 25. მოქმედი ვულკანი იტალიაში; 26. რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევი მიზეზი; 27. ცეცხლის ანალენი; 28. უხამსი შინაარსის მსუბუქი კომედია, ვოდევილი; 30. ამერიკელი კინომსახიობი ქალი; 32. ქალის მთავარი როლის შემსრულებელი, ჟან ლუი ტრენტინიანის ფილმში „მამაკაცი და ქალი"; 35. საზღვაო თევზსაჭერი გემი, რომლიდანაც ბადით თევზაობენ; 36. ათენთან ახლოს მდებარე ბაღის სახელწოდება, სადაც ასწავლიდა ფილოსოფოსი პლატონი.

შვეულად: 1. სოლიდარობის ან პროტესტის გამოსახატავად მასობრივი მსვლელობა ქუჩაში; 2. ნივთების ან ფულის გათამაშება ბილეთებით; 3. ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ; 4. ქალის ძვირფასი სამკაული – ღია (სამუბლე) გვირგვინი; 5. ინგლისის პარლამენტის თემთა პალატის თავმჯდომარე; 6. სასულიერო პირი შუა საუკუნეების საფრანგეთსა და ინგლისში; 7. ამერიკელი კინომსახიობი ქალი; 10. ადამიანთა მოდგმის წინაპარი იუდაისტურ და ქრისტიანულ მითოლოგიაში; 17. სამოთხე; 18. ასპიდის დაფაზე საწერი თიხიანი ფილის რბილი ჩხირი; 20. ესპანელი კინორეჟისორი; 22. ვერცხლის სასმისი, ტარიანი; 23. გემის ბორტების გამაერთიანებელი განივი კოჭი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს გემბანის ფუძეს; 29. ქალის თავსაბურავი; 31. ხომალდის ზედა გემბანის წინა ნაწილი; 32. დროის ისტორიული მონაკვეთი, პერიოდი; 33. სახოტბო ლექსი; 34. რისამე ჩამოთვლა.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

**7 სექტემბერს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. ჰავანა; 4. რაიანი; 7. ქარვა; 10. კერტისი; 11. ილიენკო; 12. „ავარა"; 15. არქიელი; 17. ტაპიორი; 19. ნადავლი; 20. კემპესი; 22. კოლჩერო; 24. ონტარიო; 27. კორდა; 29. კენგურუ; 30. „რევანში"; 31. ნიაზი; 32. ეზიაში; 33. ამბორი.

შვეულად: 2. „ვერტერი"; 3. აქცია; 4. რაფია; 5. ასპექტი; 6. მაკარი; 8. რეჟანსი; 9. ფლოსტი; 13. კლავირი; 14. ჯარმენი; 16. რანჩო; 18. რეისი; 21. დიორამა; 22. კენკრა; 23. ჩონგური; 25. „არფასტო"; 26. ორსინი; 27. კუინი; 28. არმია.

---

ლილი კაკაბაძე, ჯულიეტა, ინგა [illegible] გიაძე დაბადების დღეს ულოცავთ [illegible].

დები დიანა და ლალი გიგიაძეები ოჯახებით, დალი ჯაფარიძე დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს უსაყვარლეს ძმას ბადურს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, სიმშვიდეს და მოთმინებას.

---

სააქციო **„ჯი და ჯი"** საზოგადოება

გთავაზობთ საწყობიდან თბილისში:

- ✓ ფანჯრისა და სპლიტ-სისტემის კონდიციონერებს
- ✓ ასლგადამღებ აპარატებს
- ✓ საოფისე ავტომატურ სატელეფონო სადგურებს
- ✓ ფაქსებს როგორც თერმო, ასევე ჩვეულებრივ ქაღალდზე
- ✓ ტელეფონის აპარატებს
- ✓ კომპიუტერებსა და პერიფერიას
- ✓ უწყვეტი კვების წყაროებს
- ✓ კედლის და ცეცხლგამძლე სეიფებს
- ✓ ბანკნოტების სათვლელ მანქანებს
- ✓ ვალუტის დეტექტორებს

გარანტია და სერვისი ერთი წელი

ჩვენი მისამართია: ლესელიძის ქ. №4, ☎93-38-34, 93-38-04

---

## ხსოვნა

### ზურაბ სხილაძე



სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაიღუპა შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დაცვის სამმართველოს თანამშრომელი, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი **ზურაბ შოთას ძე სხილაძე**.

წავიდა ჩვენგან ახალგაზრდა, ნიჭიერი, პატიოსანი და საქმისადმი ერთგული პიროვნება. ზურაბის არყოფნა დიდი დანაკლისი იქნება კოლეგების და ახლობლებისათვის.

მისი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დაცვის სამმართველოს პირადი შემადგენლობა.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის ყოფილი უფროსის, საქართველოს საზღვაო დარგის თვალსაჩინო სპეციალისტისა და მოღვაწის, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისათვის აქტიური მხარდამჭერის, მეგობრისა და თანამებრძოლის

**ვალერი გეგიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## გახსენება

### ზურაბ წიკლაური



ჩაუქრობელი რომ გვეგონა, სწორედ ის სიცოცხლე ჩაქრა ნაადრევად. ვინ იფიქრებდა, დაუდეგარი, მეოცნებე, ყველასაგან გამორჩეულად საყვარელი ახალგაზრდა, ასე იოლად შეელეოდი ამქვეყნიურ ცხოვრებას.

ორმოცი ნაღვლიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ, **ზურა**. წახვედი და თან გაიყოლე სამომავლო ოცნებები, რომლებსაც, თურმე, ასრულება არ ეწერა. წუთისოფელმა მხოლოდ მოგონებები დაგვიტოვა შენზე. საოცრად დააკლდი ოჯახს, მეგობრებს, სოფელს, რომელმაც გულწრფელად დაიტირა ნათელი სიცოცხლე და დღემდე ვერ შეგუებია იმ აზრს, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის ზურაბ წიკლაური – სოფლის თვალი და რჩეული.

მსუბუქი იყო შენთვის ქართული მიწა!

კუკური, ვანიკო, ნანა და სოფელ ძველი ქანდის მოსახლეობა.

---

## ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის ხსოვნას

კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ ამ დღეებში. მოულოდნელად წავიდა ამქვეყნიდან **ვალერი გეგიძე**.

ბატონი ვალერი იყო არა მარტო ჩინებული მოქალაქე, თვალსაჩინო სპეციალისტი და მოღვაწე, არამედ ჩვენი აქტიური მხარდამჭერი და თანამებრძოლი. იგი აფხაზეთის კონფლიქტისა და ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე მხარში გვედგა, გვეხმარებოდა რითაც შეეძლო და ამით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითს იძლეოდა. სოხუმის დაცემის შემდეგაც არ მოუკლია ბატონ ვალერის მხარდაჭერა და თანადგომა დევნილთა და ლტოლვილთათვის. ასობით ჩვენს თანამემამულეს დაეხმარა, დაასაქმა, ადამიანური სითბო უწილადა, როგორც ეს ფოთელებს სჩვევიათ.

ბატონი ვალერი გეგიძე აქტიურად იბრძოდა აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად, თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს არ იშურებდა ამ დიდი საქვეყნო და ეროვნული მიზნის მისაღწევად.

წავიდა ჩვენგან მებრძოლი, დიდი სპეციალისტი, კეთილი საქმეებისათვის შემართული მოქალაქე და პატრიოტი, რომელსაც კვლავაც შეეძლო ეკეთებინა აფხაზეთის დაბრუნების ჩვენთვის და მისთვის უკეთილშობილესი საქმე.

დარწმუნებული ვართ, რომ აფხაზეთი მალე დაუბრუნდება დედა-სამშობლოს, მოიმუშებს იარებს და ბატონი ვალერის სახელი მადლიერებითა და სიყვარულით იქნება მოხსენიებული დღევანდელი და მომავალი თაობების მიერ.

**თ. ნადარეიშვილი,**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

**ზ. ერქვანია,**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

---

ძმები სოსო, ოლეგ ბიწაძეები, რძლები ლიზა, ქეთინო, ძმისწულები ნათელა, შორენა, კახა, ანეპო, მაია, ავთო ოჯახებით, სიძეები რობიზონ გვენეტაძე, ზურა აბაშიძე, გია ბალხამიშვილი, რძლები ლია მარტიაშვილი, ნინო ნადირაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**უშანგი ბიწაძე**

პანაშვიდი 14, 15 IX, 4 ს. დაკრძალვა 16 IX, 2 ს. ქ. რუსთავი, მშენებელთა 30.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სოსო ბიწაძეს ძმის

**უშანგი ბიწაძის**

გარდაცვალების გამო.

სახაზინო საწარმო ფირმა „თბილმეტრომშენის" კოლექტივი სამძიმარს უცხადებს სოსო და ოლეგ ბიწაძეებს ძმის

**უშანგი ანეპოლისტეს ძე ბიწაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი – შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.